საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 7 მარტი. 2018 წ. №47 (8448), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მსოფლიოს ეშმაკი არ ასვენებს...

მომავალი გვიჩვენებს, ვინ ვის დაჭამს?!



ღმერთმა არა ქნას, რომ ცივი ომი „გაცხელდეს!“ 5

...რომ გადავრჩეთ, ამიტომ ისევ რუსეთს უნდა მივემხროთ? ეს არის მოღალატეობა, მონის ფსიქოლოგია!.. 3

საპატრიარქომ ტატუნაშვილის გადმოსვენების საკითხზე რუსეთის პატრიარქისგან წერილი მიიღო

საქართველოს საპატრიარქო არჩილ ტატუნაშვილის გადმოსვენების საკითხზე რუსეთის პატრიარქის კირილის პასუხს ავრცელებს.

უცვლელად გთავაზობთ რუსეთის პატრიარქის პასუხის ტექსტს, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.

„უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
უწმინდესო და უნეტარესო,
უფლის მიერ საყვარელო ძმაო და თანამწირველო!

გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ ჯანმრთელობასა და ღვთის შეწევნას თქვენს საპატრიარქო მაღალ მსახურებაში.

პასუხად 2 მარტით დათარიღებული თქვენი წერილისა, რომლითაც მოგვმართეთ თხოვნით, დახმარება გაგვეწია სამხრეთ ოსეთში გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის ქართული მხარისთვის გადმოცემაში, გაცნობებთ შემდეგს: თქვენი წერილის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ იქნა მიღებული მოცემული სიტუაციისთვის ყველა შესაძლო ზომა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღგვითქვა, რომ, როგორც კი მიიღებენ გამოძიების ფარგლებში ჩატარებული კრიმინალური ექსპერტიზის მონაცემებს, ცხედარს უმოკლეს ვადაში დააბრუნებენ. ა. ტატუნაშვილის ქართული მხარისთვის გადმოცემა იგეგმება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანადგომით.

ვუსურვებ თქვენს უწმინდესობასა და უნეტარესობას, სულიერი და ფიზიკური ძალის სიმტკიცით განვლოთ წმინდა ორმოცეულის (დიდმარხვის) მაცხოვნებელი გზა, უცვლელად ვრჩები თქვენდამი ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი
კირილი“.

ლევან პირველის როლი ავსტრიის საგარეო პოლიტიკაში 8

„წერე და იკითხეს“ სინდრომი დღევანდელ საქართველოში... 6

ბელგიაში ბირთვული კატასტროფისთვის მზადება დაიწყეს

ბელგიამ ბირთვული კატასტროფის შემთხვევაში, უფასო იოდის შემცველი ტაბლეტების დარიგება დაიწყო. როგორც ბელგიის ფარმაცევტული ასოციაცია იუწყება, 6 მარტიდან ბელგიის ნებისმიერ მოქალაქეს, რადიაციული დაზიანების შემთხვევაში, პროფილაქტიკის მიზნით, შეუძლია აფთიაქში უფასოდ მიიღოს იოდის ტაბლეტი. ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ ავრცელებს. ასეთი აქცია გათვალისწინებულია რადიაციული უსაფრთხიების ახალი გეგმით, რომელიც ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა იან იამბონმა შეიმუშავა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს რეაქტორის ულტრახმოვანი შემოწმების შედეგად, გამოვლინდა ათასობით ბზარი ერთ-ერთი ენერგობლოკის კორპუსზე. ბელგიის ტერიტორიაზე სულ სამი ბირთვული რეაქტორი მდებარეობს და ახალი გეგმის თანახმად, 20 კილომეტრამდე რადიუსზე არსებულ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს იოდის მარაგი.

ზოთა ზოიძე

ნუ დატოვებთ აჭარას ჩემი ლექსის ამარა! 12

ოპოზიცია ახლა ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმს მიახტა! 11



გადავარჩინოთ მეგრული, ლაზური და სვანური ენები 6

უვიზო მიმოსვლას აუცილებლად გავუფრთხილდებით!

პრემიერის თქმით, ამ მიმართულებით კომპლექსური ნაბიჯები იდგმება. ამ ნაბიჯების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოტანილი ცვლილებები, რომელიც გვარის შეცვლის პროცედურას გარკვეულწილად ართულებს.

„ჩვენ გვაქვს შემუშავებული კომპლექსური გეგმა, ამაზე იყო საჯაროდაც საუბარი, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთანაც გვქონდა კომუნიკაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. ამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლავთ იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოტანილი ცვლილებები, რომელიც გვარის შეცვლის პროცედურას გარკვეულწილად ართულებს. სამწუხაროდ, ეს გამოიყენება ჩვენი თანამოქალაქეების მიერ, რომლებიც სხვადასხვა გვარით ჩადიან ევროკავშირში და სამწუხაროდ, ჩადიან დანაშაულს, ამიტომ ჩვენ ვართულებთ ამ პროცედურას. ეს შეთანხმებულია ევროკავშირთან, წევრ ქვეყნებთან და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამოქალაქეები ამას გაგებით მოეკიდებიან. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა თავიდან ავიცილოთ უვიზო მიმოსვლის შეჩერების რისკი და ეს არ არის ერთადერთი ნაბიჯი ამ მიმართულებით“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ბაკურიანი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, ოთხი სეზონის სამთო კურორტად უნდა ვაქციოთ!

მთავრობა ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას ამტკიცებს, რომელიც, ინფრასტრუქტურის სწორ განვითარებასთან ერთად, მკაცრ რეგულაციებს მოიცავს, — როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ეს სამთავრობო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულების — სივრცითი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

„წლების განმავლობაში ბაკურიანში მიმდინარე უსისტემო მშენებლობამ გამოიწვია, როგორც გარეგნული იერსახის დაზიანება, ასევე ტყის ფონდის განადგურება და ვიდრე ჯერ კიდევ გვიანი არ არის, ვაწესებთ ძალიან მკაცრ რეგულაციებს. გარდა იმისა, რომ გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურის სწორი განვითარება, გენერალური გეგმა მოიცავს სასრიალო ტრასების სიგრძის გაზრდას და ერთმანეთთან დაკავშირებას, ასევე ე.წ „წრის“ შიდა ტერიტორიის პარკად ჩამოყალიბებას, მდინარე ბაკურიანულას რესურსის სარეკრეაციო გამოყენებას, რეკრეაციული სივრცეების შექმნას, საბავშვო მოედნების, კემპინგების, საფეხმავლო გზების, პარკირების მოწესრიგებას და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ რეგულაციების საშუალებით ბაკურიანი უნდა გადაიქცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, ოთხი სეზონის სამთო კურორტად და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გეგმა ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს ამ უმნიშვნელოვანესი კურორტის განვითარებისთვის“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

იმერულ აგროზონას 100 მილიონი ლარი მოხმარდება...

აგროზონაში საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელებით, დაახლოებით, 100 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პროექტი, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს, იმერეთისთვის ტრადიციული დარგის სასათბურე მეურნეობების განვითარებას და ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობას გულისხმობს.

„პროექტის მიზანია იმ მოცულობის განვითარება, რომელიც ჩვენ გვჭირდება, რომ სტანდარტიზებული, უნიფიცირებული ხარისხის მქონე ქართული პროდუქცია გავიტანოთ მაღალი სტანდარტების მქონე ბაზრებზე, როგორიცაა ევროკავშირის და სხვა ბაზრები. ეს გულისხმობს როგორც სათბურების, ასევე სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების მშენებლობას“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა საქართველოში ორი ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობაზე, რომელთაგან ერთი იმერეთში, კოპიტნარის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო მეორე — აღმოსავლეთში, რუსთავთან ახლოს აშენდება. მთავრობის მეთაურის შეფასებით, იმერეთის აგროზონის და ლოგისტიკური ცენტრის ერთობლიობა ძალიან მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს რეგიონის განვითარებას და ეს იქნება, როგორც მეწარმეების წახალისებისთვის, ასევე ადგილზე სოციალური სურათის მნიშვნელოვანი შეცვლისკენ გადადგმული ნაბიჯი.

„სხვა რეგიონებშიც სერიოზული პერსპექტივა ექნება“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი შვედეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შვედეთის თავდაცვის მინისტრს პიტერ ჰულტქვისტს შეხვდა. შეხვედრისას, რომელსაც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და გენშტაბის უფროსი ვლადიმერ ჩაჩიბაია ესწრებოდნენ, საუბარი რუსეთის ქმედებებს, მის მილიტარისტულ პოლიტიკას და აქედან მომდინარე საფრთხეებს შეეხო.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ევროპული უსაფრთხოება საქართველოსა და შავი ზღვის უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია. გაზრდილი მილიტარისტული რიტორიკის ფონზე კი, საქართველოს პარტნიორების მხრიდან მეტი ჩართულობაა აუცილებელი. მხარეებმა შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის განვითარებისა და ნატო-საქართველოს წვრთნებში შვედეთის მონაწილეობის საკითხზეც იმსჯელეს.

პარლამენტის გასაძლიერებლად რეგლამენტები გადასინჯება

„მოხდება რეგლამენტის გადასინჯვა იმისათვის, რომ გაძლიერდეს პარლამენტი და იმისათვის, რომ პარლამენტმა სათანადოდ განახორციელოს საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოსილება“, — ამის შესახებ ირაკლი კობახიძემ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის გადასინჯვის შესახებ საუბრისას განაცხადა.

„არის დასახვეწი რეგლამენტში მთელი რიგი პროცედურები, რომელიც დაკავშირებულია როგორც კანონშემოქმედებასთან, ასევე ზედამხედველობასთან. შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, რომ მოვამზადოთ დახვეწილი რეგლამენტი. ჩვენი ამოცანა, მათ შორის, გახლავთ ის, რომ გაძლიერდეს ოპოზიცია. როგორც მოგეხსენებათ, კონსტიტუციაც ამ მიზანს ისახავდა და თვისობრივად გაძლიერდა ოპოზიციის უფლებები კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე. ანალოგიურად მოხდება რეგლამენტის გადასინჯვა იმისათვის, რომ გაძლიერდეს პარლამენტი და იმისათვის, რომ პარლამენტმა სათანადოდ განახორციელოს საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოსილება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ. მისივე თქმით, დაიხვეწება პროცედურები, რომლებიც მინისტრთა დაბარების შემთხვევაში, პარლამენტში გამოცხადების ვალდებულებას ეხება.

კალაძე ხანძრით დაზარალებულ მოვაჭრეებს ესაუბრა

თბილისის მერი კახა კალაძე სავაჭრო ცენტრ „ქალაქის გულის“ ადმინისტრაციასა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოვაჭრეებს შეხვდა. დედაქალაქის მერი შენობაში მიმდინარე დასუფთავების სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

კახა კალაძის განცხადებით, დასუფთავების სამუშაოების დასრულების შემდეგ, შენობის დამწვარი ნაწილის დემონტაჟი დაიწყება.

„ამჟამად, დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც კი სამუშაოები დასრულდება, მესამე სართულზე რაც დაიწვა, სახურავი მთლიანად მოიხსნება და აღდგენითი სამუშაოები დაიწყება. უახლოეს მომავალში, ადამიანებს, ვინც აქ წლების განმავლობაში მუშაობდა, საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

„ის ადამიანები, ვისაც საქონელი გადაურჩა და არ დაიწვა, გვერდით შენობა-ნაგებობებში არიან გადაყვანილი და თავიანთ საქმიანობას იქ განაგრძობენ. მათ, ვისაც საქონელი დაეწვა, ადმინისტრაციის მხრიდან მაქსიმალური თანადგომა და დახმარება აქვს, თუნდაც ბანკებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რომ იმ კრედიტების გადავადება მოხდეს, რომელიც ამ ადამიანებს ჰქონდათ გამოტანილი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ჩვენ ვიბრძოლებთ ქალაქის ქაოტური მშენებლობის წინააღმდეგ!

ხდება მშენებლობები ნებართვის გარეშე, რაც სერიოზული პრობლემაა და ჩვენ ამას დავასრულებთ, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერმა კახა კალაძემ განუცხადა. მისი თქმით, ის ამ საკითხზე ვრცელ განცხადებას გააკეთებს.

„მე ამ საკითხზე ვაპირებ განცხადების გაკეთებას. ჩვენ ამას თავს ნამდვილად ვერ დავუხრით, ვიქნებით ძალიან პრინციპულები. ეს არის ის, რასაც ვეწინააღმდეგებით თითოეული ჩვენგანი. ეს არის ქალაქის ქაოტური განაშენიანების თვალსაზრისით ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა. მიმდინარეობს მშენებლობები ისეთი ფორმით, რომელიც არ უნდა განხორციელდეს, ხდება მშენებლობები ნებართვის გარეშე, რაც სერიოზული პრობლემაა და ჩვენ ამას დავასრულებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ამერიკელმა მეცნიერებმა ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო გეგმა მოინონეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი კომპანია TRECE Inc (აშშ) პრეზიდენტს, ბილ ედრინს და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების წამყვან მეცნიერთა დელეგაციის წევრებს შეხვდა.

მეცნიერთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სასოფლო-სამეურნეო კვლევის სამსახურის ვირჯინიის ტექნიკური უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო კვლევებისა და ექსტენციის ცენტრის, ოკლაჰომასა და პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტების წარმომადგენლები. შეხვედრაზე საქართველოში გავრცელებული ახალი ინვაზიური მავნებლის — აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად შემუშავებული სამოქმედო გეგმა განიხილეს.

ბილ ედრინის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია მოქნილი და ქმედითი სტრატეგია მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა, აზიური ფაროსანას დამარცხება 2018 წელს მაინც ვერ მოხერხდება. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია აშშ-ის წამყვანი სპეციალისტების ვიზიტი რეგიონებში და ვითარების ადგილზე გაცნობა. ამერიკელი სპეციალისტები, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ სიმპოზიუმში „აზიური ფაროსანა (Halyomorpha halys) — გლობალური გამოწვევა, საერთაშორისო გამოცდილება და პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო გზები“.

უვიზო მიმოსვლის შეთანხმებას ბოროტად ნუ გამოიყენებთ!

„მოძალაძეებმა უვიზო მიმოსვლის შეთანხმების ბოროტად გამოყენება უნდა შეწყვიტონ“ — ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე თამარ ჩუგოშვილმა უვიზო მიმოსვლის შესაძლო შეჩერებასთან დაკავშირებით საუბრისას გააკეთა. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თამარ ჩუგოშვილი ფიქრობს, რომ ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საფრთხე არ არსებობს, თუმცა აუცილებელია, საქართველოს მოქალაქეებმა უვიზო მიმოსვლის „ბოროტად გამოყენება“ შეწყვიტონ.

„მნიშვნელოვანი არის ის, რომ ჩვენი მოქალაქეები პატივისცემით ეკიდებოდნენ იმ შეთანხმებას, რომელიც საქართველოს აქვს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ჩვენ თუ ბოროტად ვისარგებლებთ იმ ძალიან დიდი მიღწევით, რომელიც საქართველომ მიიღო გასულ წელს, შესაძლებელია, რომ მთელ ქვეყანას შევუქმნათ პრობლემები. იმედია, რომ ყველა მოქალაქე პასუხისმგებლობით მოეკიდება.

არ მგონია, რომ შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხის წინაშე ვდგავართ, მაგრამ მოქალაქეებმა უნდა შეწყვიტონ ბოროტად გამოყენება უვიზო მიმოსვლის შეთანხმების,“ — ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი. გერმანიიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის შემდეგ, საქართველოში გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინიტროს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. გერმანიის შს სამინისტროს უწყების წარმომადგენლები ქართულ მხარესთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ მიგრაციული ნაკადების მხრივ არსებული ვითარებისა და პრობლემების მოგვარების შესახებ იმსჯელებენ.

მათ, ვისაც თავშესაფარზე უარი ეთქვათ, გერმანია შენგენის ზონაში შესვლას აუკრძალავს

— ამის შესახებ ნათქვამია საქართველოში გერმანიის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. საელჩოს ინფორმციით, ვიზალიბერალიზაციამდე პერიოდთან შედარებით თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა.

მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოში ვიზიტით მყოფი, გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს მიგრანტთა დაბრუნების შტაბის ხელმძღვანელი, დოქტორი კრისტიან კლოსი და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხებში, ელჩი ანეტ გიუნთერი საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებს მიგრაციის სფეროში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე ესაუბრნენ.

„უკვე რამდენიმე თვეა, საქართველოს მოქალაქეების სულ უფრო მზარდი რიცხვი იყენებს ამ თავისუფლებას იმისათვის, რომ მოითხოვოს გერმანიაში თავშესაფარი მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა მათგანი თავშესაფრის მიღებაზე უარს იღებს. ვიზალიბერალიზაციამდე პერიოდთან შედარებით თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. მხოლოდ იანვარში შვიდასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ მოითხოვა თავშესაფარი გერმანიაში. მათგან თითქმის 100%-მა მიიღო უარი. მსგავსი სიტუაცია შეინიშნება ასევე ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში.

გერმანიაში არალეგალურად მყოფ პირთა და თავშესაფრის დაუსაბუთებელ მთხოვნელთა რიცხვის საგრძნობი მატება იწვევს გერმანიის ფედერალური მთავრობის დიდ შეშფოთებას, ამიტომ მისი აზრით, აუცილებელია სწრაფი და ქმედითი რეაგირება. იმ ღონისძიებების გარდა, რომლებიც ეროვნულ და ევროკავშირის დონეებზე ტარდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე პარტნიორულ თანამშრომლობას საქართველოს მთავრობასთან იმისათვის, რომ საგრძნობლად შემცირდეს უვიზოდ მიმოსვლის ბოროტად გამოყენება. ამიტომ გერმანიას სურს, კიდევ უფრო გააღრმავოს საქართველოსთან რეადმისიის საკითხებში უკვე არსებული მჭიდრო თანამშრომლობა. გარდა ამისა გერმანია არსებული სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში რამდენიმე წლით შენგენის მთლიან ზონაში შესვლას აუკრძალავს იმ პირებს, რომლებსაც უარი ეთქვათ თავშესაფარზე“, — ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩვენ ნატო იმისთვის გვინდა, რომ რუსეთისგან თავი დავიცვათ!

რომ გადავრჩეთ, ამიტომ ისევ რუსეთს უნდა მივემხროთ? ეს არის მოღალატეობა, მონის ფსიქოლოგია!..

„პროდასავლურმა პოლიტიკამ და ნატოსკენ სწრაფვამ შეაფერხა საქართველოს განვითარება“, — ასეთია ღია წერილის შინაარსი, რომელსაც ხელს ქართული ინტელიგენციის საკმაოდ მცირე ნაწილი აწერს. **საზოგადოების მწვავე რეაქციის შემდეგ, უმრავლესობამ საკუთარი ხელმოწერა არ დაადასტურა და აღნიშნა, რომ ხელმოწერა გაყალბებულია და ხელმოწერა გააუქმა.**

ინტელიგენციის ნაწილი კი ასკვნის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, მოსახლეობის უდიდეს ნაწილში არის დიდი იმედგაცრუება. **მათი შეფასებით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა აშშ-ის საელჩოს და მათ მიერ წარმოდგენილი ექსპერტის ლუკ კოფის შემოთავაზებამ, საქართველოს გაწევრებაზე ნატოში, ალიანსის წესდების მე-5 და მე-6 მუხლების, ანუ უსაფრთხოების გარანტიების გარეშე.**

„საქართველომ, ცალმხრივად, ბოლო 30 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო ნატოსთან პარტნიორობის გამო, მიგვაჩნია, რომ მოკავშირეობა ორმხრივი უნდა იყოს, ამიტომ შემოთავაზება უკიდურესად არაკორექტულია და არ შეეფერება მოკავშირეებს შორის ურთიერთობებს. უფრო მეტიც, გაიზრდება რისკები და სამხედრო კონფლიქტის საფრთხე დაემუქრება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიებსაც, ხოლო ასეთ შემთხვევაში როგორ დახმარებას შეიძლება ველოდოთ, ჩვენ უკვე გვაქვს 2008 წლის გამოცდილება“, — ნათქვამია ქართველი ინტელიგენციის მიმართვაში.

მიმართვის ეს ტექსტი, რომელიც ცხინვალის ციხეში ქართველი მეომრის მკვლელობის პარალელურად გავრცელდა, საზოგადოების აღშფოთების მიზეზი გახდა. **წერილის შინაარსს და ამ ინტელიგენციას ემიჯნება ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი, რომლის განცხადებით, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი საზოგადოება ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა საკუთარ ღირებულებებზე. არ ჩამოყალიბებულა იმაზე, რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია.**

„დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები — ეს არის დასავლური ორიენტაცია. როცა შენ ასე ხარ ორიენტირებული, რასაკვირველია, შენი მოკავშირე არის დასავლეთი, ვიდრე ის საზიზღარი რუსეთი, რომელიც კიდევ უარეს დღეშია, ვიდრე ჩვენ. ვერ გარკვეულა, სად არის, რა უნდა. იმდენად ჩამორჩენილია განვითარების მხრივ, რომ შავი და თეთრი ვერ გაურჩევია.

საქართველოს შინაგანი მიზანია, რომ სიკეთით იცხოვროს, ეს არის ჩვენი თავისუფლების არსი. სიკეთისთვის გვინდა ეს თავისუფლება, რუსეთში სიკეთე არ არის, რას ლაპარაკობენ ეგენი საერთოდ. აღარ გვახსოვს, რაც რუსეთმა დამართა საქართველოს, რა ცოდვები აქვს საქართველოში ჩადენილი?! როგორ შეიძლება ამისთვის ხაზის გადასმა და ისევ რუსეთზე ლაპარაკი?! მოდით, რუსეთს მოვეფეროთ, არ გავაბრაზოთ, თავზე ხელი გადავუსვათ — მაგას ამბობდნენ 90-იანი წლების დასაწყისში და მანამდეც, რატომ? იმიტომ, რომ თავიანთ კარგ ცხოვრებას უფრთხილდებოდნენ და ასეა დღესაც. რომ გადავრჩეთ, ამიტომ ისევ რუსეთს უნდა მივემხოთ, ეს არის მოღალატეობა, მონის ფსიქოლოგია — იმისათვის, რომ გადარჩეს, თავისუფლებაზე უარს ამბობს და სხვის იმედზეა. ყველა ქართველი უნდა გაემიჯნოს ასეთ მოღალატეობრივ პოზიციას. აქ კომპრომისი არ შეიძლება“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **დავით ზარდიაშვილმა.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, იმაზე ლაპარაკი, რომ რამე რეალური ფუნქცია ჰქონდა ღია წერილს, ზედმეტია. რადგან მისი თქმით, **გაუგებარია, რატომ გამოიდეს თავი: რასაც ქართულად მატრაკვეცობა ჰქვია. საყვარელიძე ფიქრობს, რომ წერილის ავტორებმა სავარაუდოდ ჩათვალეს, რომ პროექტზე — რასაც ჰქვია მე-5 მუხლის გარეშე ნატოში გაწევრება, მათთვის მომგებიანი იქნებოდა.**

„მაგრამ მაშინ დავა უნდა იცოდე, ან პოლიტიკური სიტუაცია უნდა გესმოდეს. მაგ წერილის უკან სრული პოლიტიკური გაუთვითცნობიერება დგას. რაც შეეხება რეალობას, ვინც წაიკითხა ეს წერილი, რეპლიკებში წერენ, ვემხრობიო. ამ მომხრეების საყურადღებოდ ვამბობ: თავი, რომ დავანებოთ იმას, რუსეთი აგრესორია და ტანკი უდგას შენს ტერიტორიაზე, დავუშვათ, გადავედით იმ პროცესზე, რომ მოდით, დავუჩოქოთ აგრესორს და აღარ იქნება აგრესორი, ამ პოზიციის ილუსტრაციაა არის სომხეთი, რომელიც ყველაზე კარგად და ყველაზე უფრო დაჩოქილია, რომელსაც რუსეთმა ამ მეგობრობის პირობებში წაართვა ქონება, ამავე პერიოდში წაართვა სუვერენიტეტი, ჯარის დამოუკიდებლად მართვის საშუალება და, პრაქტიკულად, არაფერი არ მისცა. მტერი იქნება თუ მეგობარი, რუსეთი ერთნაირად სახიფათოა“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ერთადერთი მხარე, რომლის ინტერესები საქართველოს ინტერესებს ემთხვევა, არის დასავლეთი, მათ შორის რუსეთთან მიმართებაში და ყველა იმ დიდი საფრთხეების მიმართ, რომელთა ჩამონათვალი აშშ-მა გააკეთა.

„რატომაა, რომ მსოფლიოში რუსეთს არ ჰყავს მეგობარი, იმიტომ, რომ არ იცის მეგობრობა. თუ კი შეუძლია წაგართვას, წაგართმევს. არა აქვს მნიშვნელობა, მის მხარეს იქნები თუ არა, ცდილობს დაგაჩოქოს. ხომ უნდა დაინახო, რა ტიპის ქვეყანა არის რუსეთი. ერთადერთი მხარე, რომლის ინტერესები ჩვენს ინტერესებს ემთხვევა, ეს არის დასავლეთი.

რა უკეთესია, იყო იმასთან, ვინც გამიზნულად განადგურებს, თუ იმასთან, რომელმაც შეიძლება შეცდომით ვერ მოზომოს, შენ რა გაწყობს და რა არა? — ეს გაუაზრებულობა ჩანს იმ წერილშიც და იმ ადამიანთა პოზიციაში, რომლებიც დღეს იძახიან, მოდით, რუსეთს დავუთმოთ და უკეთესად ვიქნებით“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოსი, „სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი **ზურაბ აგლაძე** ამბობს, რომ ნატო არის გადარჩენის ერთადერთი გზა და ძალიან მარტივად შეგვიძლია ამის ფორმულირება. მისი თქმით, ჩვენ გვყავს დიდი მეზობელი, სახელად რუსეთი, რომელიც ცდილობს ჩვენი ქვეყნის ანექსიას და ეს არაერთხელ გაუკეთებია.

„ჩვენთვის ერთადერთი გადარჩენა არის, როგორმე შევიდეთ უსაფრთხოების ქოლგაში. ჩვენ ნატო გვინდა იმიტომ, რომ თავი დავიცვათ რუსეთისგან. ისინი ამბობენ, რომ ნატოში სწრაფვამ ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და უსაფრთხოება გააუარესაო. მოდით, მივყვეთ ქრონოლოგიურად, 90-იან წლებში, როდესაც საერთოდ არ იყო საუბარი ნატოზე და ევროკავშირზე, გვახსოვს, რუსეთმა რაც დაატრიალა სამხრეთ ოსეთში და შემდეგ აფხაზეთში.

ამიტომ ყველა ქართველისთვის ძალიან მარტივია გადაწყვეტილების მიღება. დიახ, ამიტომ ირჩევს ქართველების უმრავლესობა ევროკავშირს და ნატოს. რუსეთს ჩვენთვის კარგი არაფერი მოუტანია და არც მომავალში არ მოგვიტანს. ასევე წერილის შინაარსია, რომ თავზე გვახვევენ დასავლურ ორიენტაციას. არავინ არაფერს არ გვახვეს თავს, ქართველი ხალხის არჩევანია, გახდეს დასავლური სამყაროს ნაწილი, ქართველი ხალხის არჩევანია, იცხოვროს ისეთ სახელმწიფოში სადაც არის კანონის უზენაესობა, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, სადაც დაცულია კერძო საკუთრება. ეს ჩვენი არჩევანია და ეს უნდა გააცნობიეროს ყველა იმ ადამიანმა, რომელიც რაღაცას ხელს აწერს. სასურველია, რუსეთშიც გააცნობიერონ ეს ყველაფერი“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ზურაბ აგლაძე.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

კენეტ იალოვიცი: შევარდნაძემ მითხრა, რუსები ამას დიდხანს არ დაივიწყებენო!

ბოლო პერიოდში საქართველოში ტერორიზმთან დაკავშირებული რამდენიმე გახმაურებული სპეცოპერაცია ჩატარდა. ზოგიერთი მათგანი პანკისის ხეობაში არსებულ ვითარებას უკავშირდება. ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში, რომელიც თბილისში ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მსახურობდა, ამბობს, რომ პანკისის პრობლემის გამო, 1999 წელს საქართველომ რუსეთის მხრიდან სამხედრო ოპერაციას თავი ბეწვზე დააღწია. კენეტ იალოვიცს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში პანკისის ასპექტზე და ისტორიულ პერსპექტივაზე ია მეურმიშვილი ესაუბრა.

— ბატონო კენეტ, მადლობა ინტერვიუსთვის. საქართველოში ელჩობის შემდეგ ცოტა ხანში, თქვენ თქვით, რომ რუსეთი საქართველოში სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, ჩეჩნეთის მეორე ომის პერიოდში ემზადებოდა. თქვენი ელჩობის დროს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იყო. როგორ იხსენებთ მაშინდელ მდგომარეობას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობას და რა თქმა უნდა, ამერიკის როლს ამ დინამიკაში?

— ეს ყველაფერი, სინამდვილეში, 1999 წელს დაიწყო, როცა რუსეთი ჩეჩნეთსა და დაღესტანში განახლებული ბრძოლებით იყო შეშფოთებული. კრემლში დაწყებული ჰქონდათ იმაზე ფიქრი, რომ დაღესტნიდან ჩეჩნეთში გადასული მებრძოლების წინააღმდეგ, სამხედრო ძალა გამოეყენებინათ. გარდა ამისა, ჩეჩნეთში წინააღმდეგობის მოძრაობას ვერ აცხრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთის პირველი ომი უკვე ჩავლილი იყო. მოსკოვი საქართველოს უბიძგებდა, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაცია განეხორციელებინა. მაშინ მახსოვს, პანკისთან ახლოს ბომბებიც კი ჩამოყარეს. ამ დროისთვის უკვე იყო განცხადებები მოსკოვის მხრიდან, რომ პანკისი ტერორისტების თავშესაფარი ხდებოდა.

1999 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეხვედრაზე დამიბარა. მან მითხრა, რომ კრემლიდან სთხოვეს, რუსეთის ჯარისთვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზებიდან ჩეჩნეთზე სამხრეთიდან იერიშის მიტანის ნებართვა მიეცა. შევარდნაძემ მითხრა, რომ ბევრი ფიქრის შემდეგ, ამ ნებართვაზე რუსებისთვის უარის თქმას აპირებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა.

საქართველომ არ უნდა დაუშვას, რომ პანკისის ხეობა ისეთივე უმართავი გახდეს, როგორც ეს 20 წლის წინ იყო.

მახსოვს, მაშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მითხრა, რომ ეს გადაწყვეტილება რუსებს არ მოეწონებოდათ და რომ მოსკოვი ამას დიდი ხანი არ დაივიწყებდა. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, პანკისში რამდენიმე ბომბი ჩამოვარდა. ხალხი არ დაღუპულა — პირუტყვი დაიხოცა, მაგრამ რუსებმა საქართველოს მესიჯი გაუგზავნეს და თბილისზე დიდი ზეწოლა დაიწყეს.

ამერიკამ მაშინ ოთხპუნქტიანი პროგრამა წამოიწყო. პირველ ეტაპზე საქართველოს მესაზღვრეების ღამის ხედვის დურბინდები და სამთო აპარატურა გადავეცით, რათა მათ საზღვრის გადაკვეთის შემთხვევები დაეფიქსირებინათ და აღეკვეთათ.

რუსები აცხადებდნენ, რომ ჩეჩნები საქართველოს საზღვარს სისტემატურად კვეთდნენ. ამას კი მოგეხსენებათ, წინ უძღოდა ჩეჩნეთის ომის დროს, დაახლოებით, 5000 ჩეჩენის საქართველოში, პანკისის ხეობაში დასახლება. რუსები დასაბუთების გარეშე აცხადებდნენ, რომ მათი უმრავლესობა ჩეჩენი მებრძოლი იყო.

ამერიკის დახმარების პროგრამის მეორე ნაწილი ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შექმნა იყო, რომელიც საზღვარზე ადამიანების გადაადგილებას დააკვირდებოდა როგორც მიუკერძოებელი მხარე.

მესამე ელემენტის ფარგლებში (ვაშინგტონის მხრიდან) რუსებთან დიალოგი იყო მათი იმაში დასარწმუნებლად, რომ პანკისში სამხედრო ოპერაცია არ დაეწყოთ.

პროგრამის ბოლო ნაწილი შევარდნაძის მთავრობის დაყოლიება იყო იმაზე, რომ პანკისში შესულიყო და იქაურობა გაეწმინდა.

ამას რამდენიმე წელი დასჭირდა. მგონი 2003 წელი იყო, როცა მათ პანკისში შესვლა საბოლოოდ გადაწყვიტეს. ვფიქრობ, ამ ოთხპუნქტიანმა გეგმამ მაშინ საქართველო რუსეთის თავდასხმისგან იხსნა, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ, მოვლენები სხვა კურსით განვითარდა.

— მას შემდეგ ვითარება რამდენჯერმე დაიძაბა. 2004 წელს საკაშვილის მთავრობამ სცადა პანკისის, ასე ვთქვათ, „გაწმენდა“ მოგვიანებით ხეობაში იყო რამდენიმე ბურუსით მოცული სპეციალური ოპერაცია. სირიაში ომის დაწყების შემდეგ კი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ 30-მდე პანკისელია მოკლული. რას უკავშირებთ იმას, რომ პანკისის ხეობაში დღესაც არსებობს ტერორიზმის საფრთხეები?

— ეს საკითხი დიდი ხანია, მაწუხებს, რადგან ის არა მხოლოდ საქართველოს შიდა უსაფრთხოებას უკავშირდება, არამედ საგარეოსაც. რუსეთს საქართველოსთან პანკისის თემის წამოწევა და ამით ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა ადვილად შეუძლია.

შევარდნაძის მთავრობას აქტიურად მოვუწოდებდით, პანკისზე კონტროლი დაემყარებინა — სიტუაციას ამის გარდა, სხვა ვერაფერი შეცვლიდა. დღეს ისმის შეშფოთება ტერორიზმთან დაკავშირებით.

დღეს საქართველოს მოვუწოდებ, ფრთხილად დაკვირდეს იმ ადამიანებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთიდან ბრუნდებიან უკან.

ისინი შეიძლება ჩეჩნები ან ქართველები იყვნენ. საქართველომ ყველანაირად უნდა სცადოს ამ ადამიანების ქვეყანაში დაბრუნების აღკვეთა. რუსეთს იგივე პრობლემა აქვს ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებით და ამ სფეროში, ვფიქრობ საქართველოს და რუსეთის ინტერესები იკვეთება. არ ვიცი, ეს რამდენადაა შესაძლებელი, მაგრამ ეს აზრი გამჩენია — საქართველომ არ უნდა დაუშვას, რომ პანკისის ხეობა ისეთივე უმართავი გახდეს, როგორც ეს 20 წლის წინ იყო.

ამ სახის კონტროლის დაწესება კი პოლიციის ძალის გამოყენებითაა შესაძლებელი. მე არ ვიცი, რამდენად აქტიურადაა პოლიცია მოსახლეობასთან ჩართული პანკისის ხეობაში დღეს. მაგრამ ვიცი, რომ საკმარისი რაოდენობის პოლიციის ოფიცრების ყოლა მოქალაქეების უსაფრთხოების გარანტი იქნება და „ცუდი ადამიანების“ რეგიონში დაბრუნებას ხელს შეუშლის. პოლიციასთან ერთად, ცხადია, აქტიურად უნდა მუშაობდეს სადაზვერვო სამსახურებიც.

პანკისის ხეობა, 2002 წელი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სოფელ დუისში, 27 აგვისტო, 2002 წელი

ამერიკის მთავრობის მიერ საქართველოსთვის ნაჩუქარი „იროკუსის“ ტიპის, იგივე Bell UH-1, შვეულმფრენი, 1 მარტი, 2002 წელი

რეზოლუცია - „ოცნების“ და საპარლამენტო უმცირესობის შეთანხმება

საპარლამენტო უმრავლესობაში არ გამორიცხავენ, რომ ოკუპირებულ სამხრეთ-ოსეთში ტატუნაშვილის სავარაუდო მკვლელობასთან დაკავშირებით უმრავლესობამ სპეციალური რეზოლუციის მიღებისას საპარლამენტო უმცირესობის შენიშვნებიც გაიმეოროს. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, პარლამენტში

წარგენილი ორივე რეზოლუციის სულისკვეთება იდენტურია.

„საქართველოს პარლამენტში ორი სხვადასხვა პროექტია ინიცირებული, ერთი უმრავლესობის, მეორე კი ოპოზიციის მხრიდან. მე ვფიქრობ, როდესაც საკომიტეტო მოსმენები დაიწყება, შესაძლებელია უმრავლესობის რეზოლუციაში აისახოს ოპოზიციის მიერ დაყენებული საკითხები. ჯერჯერობით რაიმეს თქმა გამიჭირდება. მთავარია, რომ ორივე დოკუმენტის სულისკვეთება არის საერთო. ორივე რეზოლუცია ოკუპაციის წინააღმდეგაა მიმართული და ორივე ეხმიანება მკვლელობების შემზარავ ფაქტებს, როგორიცაა ტატუნაშვილის და ოთხოზორიას საქმე“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

უმრავლესობისა და უმცირესობის პროექტებს შორის ერთი სხვაობაა — ,,ევროპული საქართველოს“ დადგენილებაში ,,ოთხოზორია-ტატუშვილის სიის“ შექმნის ჩაწერას ითხოვს. საპარლამენტო უმცირესობაში აცხადებენ, რომ თუ ორი რეზოლუციის გაერთიანება მოხდება, ,,ევროპული საქართველო“ მზად არის კონსულტაციისთვის.

AMNESTY INTERNATIONAL ტატუნაშვილის საქმის დროულ გამოძიებას ითხოვს

AMNESTY INTERNATIONAL რუსეთსა და ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას არჩილ ტატუნაშვილის დაღუპვის დაუყოვნებლივი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდებს.

ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ არავის აქვს ადამიანის სიცოცხლის თვითნებურად მოსპობის უფლება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პატიმრობაში მყოფი პირის დაღუპვა კი სწორედ ისე უნდა განიხილებოდეს, როგოც თვითნებური დასჯა და სრულფასოვანი გამოძიება უნდა ჩატარდეს.

„საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების შესაბამისად დაღუპულის ოჯახის წევრებს აქვთ უფლება, მათი წარმომადგენელი გარდაცვლილის ექსპერტიზას დაესწროს“, — ნათქვამია განცხადებაში.

მომავალი გვიჩვენებს, ვინ ვის დაჭამს?!

ღმერთმა არა ქნას, რომ ცივი ომი „გაცხელდეს!“

ელვის სისწრაფით ვითარდება მოვლენები. დღე ისე არ ჩაივლის, მსოფლიო მნიშვნელობის ერთმა თემამ მეორე არ ჩაანაცვლოს. ძნელია, რომელიმეს ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმო, ვინაიდან ყველა ჩვენგანს ეხება. ის-ის იყო სირიის დედაქალაქ დამასკოს გარეუბან გუტაში მიმდინარე ომი ლამის მთელი მსოფლიოს, განსაკუთრებით — გაეროს უშიშროების საბჭოს მწვავე განხილვის თემა, ვაშინგტონ-მოსკოვს შორის ახალი დაპირისპირების საგნად არ იქცა, რომ სხვამ იჩინა თავი, რომელმაც არათუ პოლიტიკით დაკავებულთა, არამედ პოლიტიკიდან შორს მყოფთა ყურადღება მიიპყრო.

სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, როდესაც ერთი ქვეყნის, სუპერად წოდებულის ლიდერი საზოგადოებას უმხელს ახალი ბირთვული იარაღის შექმნას და არათუ შექმნას, არამედ ქვეყნის სადარაჯოზე განლაგებას.

2018 წლის 1 მარტი რომ მსოფლიო ისტორიაში მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც მეორე „ცივი ომის“ დაწყების თარიღი, ნაკლებად საეჭვოა, თუმცა პირველ მარტამდეც არ იყო მშვიდი ვითარება. პოლიტიკური ფორიაქის მიზეზი ბევრია, მათ შორის მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლა, რომელიც თავისთავად იწვევს აკრძალული ილეთების გამოყენებას, თუმცა პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება ასეთს არ მიმართავს.

ერთია, როდესაც აკრძალული წესებით გსურს ფონს გასვლა და მეორეა, როდესაც სხვებს, ამ შემთხვევაში შენს მოკავშირეებს აიძულებ, რომ ისევე მოიქცნენ, როგორც შენ — დაგიჭირონ მხარი სხვის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებაში; ნება დაგრთონ, განალაგო შენი სარაკეტო სისტემები ე.წ. მოკავშირეების ტერიტორიებზე; ასევე სხვისი დაშანტაჟების მიზნით, იმ შენს მოკავშირეებს პერმანენტულად აძახებინო, რომ მათ ტერიტორიებზე შენი სარაკეტო სისტემების განლაგება მათივე უსაფრთხოებისთვის, მათივე მოთხოვნით ხდება.

პირველობისთვის ბრძოლაში რა არ გამოიყენა აშშ-მა — ეკონომიკური სანქციებიდან დაწყებული, სამხედრო უპირატესობის მოპოვებით დამთავრებული. გარდა ამ ორი მთავარი საკითხისა, იყო სხვაც, შეტევები სპორტის, კიბერუსაფრთხოების, მედიის, განათლების, სხვა დარგებშიც — ერთობ გამაღიზიანებელი და დამთრგუნველი იმ მეტოქისთვის, რომელსაც ვითომ არაფრად აგდებ, განუვითარებელ, ჩამორჩენილ ქვეყნად მიიჩნევ, სინამდვილეში კი ერთ-ერთ თუ არა ერთადერთ მოწინააღმდეგედ თვლი. ეს, რომ ასე არ იყოს, აუარება ფულს არ დახარჯავდი მისი საზღვრების სიახლოვეს, ე.წ. მოკავშირეების ტერიტორიებზე მძიმე სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო პერსონალის განლაგებაში.

რომ იტყვიან — მოთმინებასაც აქვს საზღვარი და 1 მარტს მოთმინების ფიალის ამოწურვა აუწყა მსოფლიოს (განსაკუთრებით აშშ-ს) რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა. ამ დღეს, ის წარსდგა რუსეთის დუმის და ქვეყნის წინაშე გაწეული მუშაობის ანგარიშით და სამომავლო გეგმებით.

თითქმის 2-საათიანი მიმართვა აღსავსე იყო შთამბეჭდავი ეკონომიკური თუ სოციალური ხედვებით, სამომავლო პროგრამებით და ამოცანებით. არ დარჩენილა არც ერთი ცხოვრებისეული საკითხი, მათ შორის უმწვავესი, ჯერაც განუხორციელებელი, რუსეთის პრეზიდენტი რომ არ შეხებოდა. მისი მიმართვა იყო გათვლილი მინიმუმ მომავალ ექვს წელზე, თუკი მას აირჩევენ პრეზიდენტად. ამაში კი არც რუსეთში და არც სხვაგან ეპარებათ ეჭვი.

ეკონომიკა, ცხოვრებისეული საკითხები, სოციალური ყოფა, ხალხის კეთილდღეობა და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის შესრულების შედეგად სიცოცხლის ხანგრძლივობის თამასის 80 წლამდე აწევა, ისე როგორც იაპონიაში ან გერმანიაში. ეს არის მთავარი მიზანი, რომლის შესრულება, პუტინის მიხედვით და წარმოდგენილი გეგმებით, სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ყოველივე ამისთვის საჭიროა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ისეთ დონემდე გაზრდა, „რომ, რუსეთის მიწები ვერავინ, ვერასდროს მიიტაცოს“.

პუტინმა ფედერალურ საბჭოს სტრატეგიულ-სარაკეტო შეიარაღების გეგმა წარუდგინა, რომელმაც, ფაქტობრივად, გააქარწლა აშშ-ის მიერ მილიარდობით გადაყრილი ფული ანტირუსული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შქმნაში, რომელთა განლაგება მიმდინარეობს რუმინეთ-პოლონეთში.

„თანამედროვე სისტემის შეიარაღების განვითარების ყველაზე მთავარ ეტაპად იქცა მაღალი სიზუსტის, ჰიპერხმოვანი საჰაერო-სარაკეტო კომპლექსის შექმნა. მას ანალოგი არა აქვს მსოფლიოში. მისი გამოცდა წარმატებით დასრულდა“, — განაცხადა პუტინმა.

პრეზიდენტის გამოსვლას თან ახლდა მის ზურგს უკან, ეკრანზე, ახალი იარაღის დემონსტრირება. აქ არ შევუდგები ამ იარაღის პარამეტრების აღწერას, ვინაიდან ამაზე ბევრი დაიწერება და ითქმება, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ის, რაც ეკრანზე ვიხილეთ — ახალი სიტყვაა ბირთვულ შეიარაღებაში, თანაც ისეთი, რევოლუციური რომ ჰქვია.

ამ იარაღის მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს და კარგა ხნის განმავლობაში არ იარსებებს. თუ ვინმე შექმნის, ვთქვათ აშშ რუსები ხომ ხელდაკრეფილები არ იქნებიან?! ისინი ხომ გააგრძელებენ მასობრივი განადგურების იარაღის დახვეწას?!

პუტინის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, მეტადრე 5 სახეობის ახალი სარაკეტო სისტემის დემონსტრირებამ, რომელთათვის არაფერია ამერიკული ანტისარაკეტო „ქოლგის“ დაძლევა ან გვერდის ავლა, თან ულიმიტო მანძილზე ბგერის სისწრაფეზე 5-10-ჯერ სწრაფად ფრენა, უდავოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაზეც უცხოელი ჟურნალისტების, ექსპერტების, პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებებიც მეტყველებს.

„ჩვენ აქამდე არავინ გვისმენდა. მოგვისმინეთ ახლა.“ — თქვა პუტინმა. და მართლაც რუსეთს, საბჭოთა კავშირის მემკვიდრეს, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით გაპარტახებულს, ვინ მოუსმენდა?

დასავლეთს, უპირველესად, აშშ-ს, მხოლოდ ის ჰქონდა მიზნად რუსეთის იმჟამინდელ ხელისუფლებას მოესმინა მისთვის და უყოყმანოდ შეესრულებინა ვაშინგტონელთა დავალებები. ყოველივე აღნიშნულს პუტინის გაპრეზიდენტებამდე ჰქონდა ადგილი.

შემდეგ კი იყო ბრძოლა დაქცეული რუსეთის ფეხზე წამოსაყენებლად; მსოფლიოში დაკარგული სახის აღდგენისთვის ბრძოლა, სამხედრო მშენებლობის ისეთ დონეზე წარმართვა, როგორიც შეეფერებოდა ტერიტორიითა და წიაღისეული სიმდიდრეებით, განსწავლული ადამიანური რესურსებით მდიდარ ქვეყანას.

პუტინმა ეს შეძლო. შედეგი — განსაკუთრებით სამხედრო მშენებლობაში, თვალშისაცემია და რახან ასეა, დაცინვით ან ქედმაღლურად მოპყრობა მისთვის აუტანელია. ის დღეს სხვაა და ვაშინგტონ-ბრიუსელი ვალდებულები არიან, ასეთად განიხილონ. და არა მარტო ისინი, არამედ ჩვენც — თავი რომ მსოფლიოს ღერძად მოგვაქვს.

დღენიადაგ ვლანძღავთ, ვაგინებთ, დაცინით მას და ნებისმიერ საერთაშორისო ფორუმზე ქოქოლას ვაყრით. რით არის ეს გამოწვეული? არამც და არამც ჩვენი სამხედრო ძლიერებით ან მტკიცე პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურებით. მაშ რით? — დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის მოიმედეიბით.

დიახ! საქართველოს ყველა ხელისუფლებას, გამსახურდიას გამოკლებით, მოჭარბებული იმედი ჰქონდა და აქვს დასავლელთა დახმარების. იმედი, არც 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ გაქარწყლებია — „პარტნიორმა, ძმამ და მეგობარმა“ „შემთხვევით“ რომ დააგვიანა და როდესაც „დახმარება“ გადაწყვიტა, კონფლიქტიც მომთავრებული იყო და ტერიტორიებიც დაკარგული.

ნაცვლად იმისა, რომ მათ საკაშვილისთვის ერჩიათ რუსეთის წინადადებას — ავტონომიების სტატუსის განსაზღვრის თაობაზე, გულისყურით მოჰკიდებოდა და დათანხმებოდა, არაფერი მსგავსი არ გაუკეთებიათ, რითაც აშკარად გამოავლინეს საკუთარი სახე — მეტადრე ქამელეონისა, ვიდრე ნამდვილი პარტნიორისა, რომელთაც სულაც არ აღელვებთ დაქუცმაცებული, ტერიტორიებდაკარგული საქართველო.

ნუთუ ამის დანახვა ასე ძნელია. ნუთუ ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები, ესოდენ ბრმა შემსრულებლები ნებისმიერი ამერიკულ-ევროპული დავალებებისა, ვერ ხვდებიან, რომ ფრანგული ანტისაჰაერო სისტემის, „ჯაველინების“ ან სხვა იარაღის შესყიდვას მხოლოდ ფულის ხარჯვა მოაქვს და ამასთანავე საკუთარი ქვეყნის რუსული იარაღის სამიზნედ გადაქცევა.

რა უნდა გააწყოს „ჯაველინებმა“ იმ იარაღთან, რუსეთს რომ აქვს?!

არათუ საქართველოში, არამედ აშშ-იც კი ბრძანების გაცემასაც ვერ მოასწრებენ, ისე განადგურდებიან. სწორედ ამის დემონსტრაცია იყო პუტინის 1 მარტის გამოსვლა და მაინც რამ აიძულა პუტინი, გადაედგა ასეთი ნაბიჯი?

ისევ და ისევ ვაშინგტონის გეგმებმა — დოქტრინად წოდებულმა, რომლის მიხედვით აშშ განახორციელებს ევროპის მოკავშირე სახელმწიფოებში დახვეწილი ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსებას, შემდეგ ამ ქვეყნების სამხედროების გაწვრთნას იარაღის გამოყენების თვალსაზრისით და შემდეგ რუსეთზე იმათ მისევას. თვითონ კი შორიდან დააკვირდება განვითარებულ მოვლენებს.

პუტინის მიერ დემონსტრირებული ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც აშშ-სკენ მიფრინავენ, სხვა არაფერია, თუ არა მკაცრი გაფრთხილება — იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ევროპული ქვეყანა, ბალტიისპირეთი, პოლონეთი, უკრაინა, სხვები თავს დაესხმებიან რუსეთს, ის შეტევას მოიგერიებს და იმავდროულად დასცხებს ამერიკას — ვითარცა რეალური ომის წამქეზებელს; რომ დოქტრინით მიღებული დივიდენდები აშშ-ს არ შერჩება და ისიც ისე განადგურდება, როგორც მისი ევროპელი მოკავშირეები, თუმცა აშშ ნაკლებად დარდობს მოკავშირეებზე. მისთვის და მისი მიზნებისთვის, რომელშიც მსოფლიოს ჰეგემონობა უპირველესია — მეტოქეთა განადგურება მთავარი რამ არის.

აშშ-ის მეტოქე რუსეთია, მაგრამ არანაკლები ევროკავშირი. და თუ ორივე ერთმანეთს დასჭამს, მით უკეთესი მისთვის. მაგრამ ეს იყო 1 მარტამდე. რა იქნება ახლა, მომავალი გვიჩვენებს.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ნატოს არ სურს ახალი ომი...

ნატოს **გენერალური მდივანი სტოლტენბერგი აცხადებს რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ქვეყნები შეშფოთებულები არიან ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რომ რუსეთი ახალ ატომურ იარაღზე მუშაობს. როგორც ერაყში ვიზიტისას სტოლტელნბერგმა განაცხადა „ნატოს არ სურს ახალი ცივი ომი და გამალებული შეირაღება.**

სტოლტენბერგის განცხადებით, კრემლის ასეთი მოქმედება არის ერთ-ერთი მიზეზი იმასა, რომ ნატო ახდენს ადაპტირებას და ახორციელებს ცივი ომის ყველაზე დიდ კოლექტიურ მასშტაბიან თავდაცვას. ამასთან გენერალური მდივანი აცხადებს რომ ნატო რუსეთს სარკის ეფექტით არ პასუხობს. „ჩვენ არ ვპასუხობთ რაკეტებს რაკეტებით, შეიარაღებას შეირაღებით, მაგრამ რეაგირებას ვახდენთ, რადგან ვხედავთ რომ ის აგრესიულად იქცევა“.

◎ ღია წერილი

გადავარჩინოთ მეგრული, ლაზური და სვანური ენები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ მარიამ ჯაშს,

საქართველოს პარლამენტის წევრებს

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კაცობრიობის ისტორიაში არაერთი ენა გამქრალა. ფაქტია ისიც, რომ გამქრალ ენებზე მოლაპარაკე ხალხებმაც დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადეს, რაც, დამეთანხმებით, გაქრობის ტოლფასია. ალბათ, მოგეხსენებათ, რომ თუ გაქრება ენა, მოკვდება ხალხიც. ეს პრობლემა დამოკლეს მახვილივით კიდია კაცობრიობის თავზე და მომაკვდინებელ საფრთხეს წარმოადგენს განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის. უკვე ოცდამეერთე საუკუნეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით უკეთესობისკენ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა, უფრო პირიქით, რადგან გლობალიზაციის ეპოქაში უფრო ძალუმად იგრძნობა ამა თუ იმ ენის გაქრობის რეალური საშიშროება. ერთი სიტყვით, რაც დრო გადის, საკითხი უფრო აქტუალური ხდება. კაცობრიობას ისღა დარჩენია, როგორმე წინ აღუდგეს ამ სავალალო ტენდენციას.

ეს მცირე შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ აუცილებლად მივიჩნევ, თქვენი ყურადღება გავამახვილო უმნიშვნელოვანეს და უაღრესად პრობლემურ საკითხზე.

ჩვენდა საუბედუროდ, შესაძლოა, უახლოეს ათწლეულებში საერთოდ გაქრეს მეგრული, ლაზური, სვანური ენები. თვით სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი ემუქრება სერიოზული საფრთხე, თორემ სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურიცაა ყოველგვარი დამცავი მექანიზმის გარეშე დარჩენილ ქართველურ, ანუ კოლხურ-იბერიულ (მეგრულ, ლაზურ, სვანურ) ენებს მეტად სავალალო ხვედრი რომ ელოდება.

მოკლედ, ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, აუცილებელია საერთო ეროვნული ტრაგედიის თავიდან აცილება, ქვეყნის ხელისუფლება, მთავრობა ვალდებულია, სერიოზულად დაფიქრდეს ამაზე და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ჩვენი ენობრივი კულტურის, ანუ კოლხურ-იბერიული ენების გადასარჩენად. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პარლამენტის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური და კომპეტენტური კომისია, რომელიც ამ ენების დაცვა-განვითარების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს ყოვლისმომცველ კომპლექსურ პროგრამას. კომისია უნდა დაკომპლექტდეს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით და მასში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ენათმეცნიერები, მწერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ.

დრო არ ითმენს, არ უნდა დავუშვათ არსებული პრობლემის გარშემო ესკალაციის პროვოცირება. პრობლემა უნდა გადაწყდეს ზოგადეროვნულ და ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტში.

იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ეს მიმართვა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

უფალი ფარავდეს ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობებისა და კოლხურ-იბერიული თვითმყოფადობის უმთავრესი გამოხატულების — ენობრივ-ლექსიკური საუნჯის დაცვა-შენარჩუნებაზე ორიენტირებულ საქართველოს.

პაგივისცემით,

ზურაბ კვარაცხელია,

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ რეგიონული რწმუნებული

P. S. **მხარს ვუჭერთ იმას, რომ პარლამენტის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური კომპეტენტური კომისია, რათა თავიდან ავიცილოთ საერთო ეროვნული ტრაგედია. ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ არა მარტო საქართველოს რეგიონების დაწყებით სკოლებში, არამედ სრულიად საქართველოს საჯარო სკოლებში ბოლო კლასამდე ისწავლებოდეს ქართველური ენები, რათა ქართლელს თუ რაჭველს „ბუტურად“ არ მოესმოდეს მეგრული და სვანური, არამედ — „შაშვის გალობად“.ასევე კადრების მომზადებისათვის, როგორც ადრე, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა ისწავლებოდეს მეგრული, სვანური და ლაზური ენები (და არა დიალექტები). საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია, რატიფიცირება მოხდეს ჯერ კიდევ 1999 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებისა „ევროპული ქარტია, რეგიონალური და უმცირესობის ენების დაცვის შესახებ“, ეს სახელმწიფო ღონისძიებები უეჭველად იხსნის მეგრულ და სვანურ ენებს გაქრობისგან. ლაზურს, ალბათ, თურქები მოუვლიან.**

ალეკო თოდუა,

ფაზისის აკადემიის წევრი, ქ. ჯვარის ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი

ბათუმის ბოტანიკურ ბაღს ახალი სივრცე შეემატება

ზაფხულში ბათუმის ბოტანიკურ ბაღს ახალი სივრცე შეემატება, სადაც თანამედროვე ლანდშაფტური არქიტექტურის მქონე გადასახედი მოეწყობა. ბათუმის მერიაში განმარტავენ, რომ რეკრეაციულ ზონაში გაკეთდება მოსასვენებელი და დაირგვება მცენარეები. ტერიტორია უკვე მზად არის სამუშაოების დაწყებისათვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები. პროექტის ავტორი ბაღის ლანდშაფტის არქიტექტორი ნინო გამხოშვილია.

ბათუმში ყინულის ახალი არენა გაჩენება

ბათუმში ყინულის სასახლის მშენებლობის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. უკვე დასრულებულია 287 ხიმინჯის მოწყობა. ამ ეტაპზე საძირკვლის არმირების სამუშაოები ხორციელდება. მშენებლობის პროცესში ამ დროისთვის 50 ადამიანია დასაქმებული.

სამუშაო პროცესს ადგილზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრთან რამაზ ბოლქვაძესთან და ქალაქის მერთან ლაშა კომახიძესთან ერთად გაეცნო. მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ მიაწოდა. ყინულის არენისა და საცურაო აუზის პროექტს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შპს „სტადიონი“ ახორციელებს. ყინულის არენა სპორტის სასახლის მიმდებარედ შენდება და ჭადრაკის მსოფლიო ოლიმპიადის მსვლელობისას დამატებით სივრცედ იქნება გამოყენებული დახურულ სპორტულ კომპლექსში — ყინულის არენაზე ტრიბუნები 1500 ადგილზე განთავსდება. ყინულის არენისა და საცურაო აუზის კომპლექსის საორიენტაციო სამშენებლო ფართობი 16 000 კვ. მეტრია, საიდანაც ყინულის არენა — 10500 კვ.მეტრზე, ხოლო საცურაო აუზი 5500 კვ.მეტრზე მოეწყობა. ყინულის არენაზე სასწავლო-სავარჯიშო პროცესისა და სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი. კერძოდ, ფიგურული სრიალი, ჰოკეი, ასევე, ციგურებზე მასობრივი სრიალი, კულტურულ-სანახაობრივი და გასართობი ღონისძიებები, კონცერტები და გამოფენები.

„ტყიბულის მთის ჩაის“ არაფერი სჯობს!

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია წარმატებით გრძელდება. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, შპს „ტყიბულის მთის ჩაი“ სოფელ ძიროვანში 19,4 ჰა ჩაის პლანტაციას სრულ რეაბილიტაციას ჩაუტარებს. ქართული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას, ქართული ჩაის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და რეგიონში მოსახლეობის დასაქმებას. შეგახსენებთ, რომ დღეის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში ინვესტორებისთვის გადაცემულია 449,4 ჰა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ჩაის გაველურებული პლანტაციები. პირობების მიხედვით ასევე განხორციელდება ჩაის გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა და წარმოებისთვის საჭირო დანადგარებით აღჭურვა.

◎ გვეხმაურებიან

„წერე და იკითხეს“ სინდრომი დღევანდელ საქართველოში...

სხვადასხვა საგაზეთო გამოცემების ქაოსში და კორიანტელში, საბედნიეროდ, გამოირჩევა ერთეული გაზეთები რომლებიც თავს აღწევენ ჟურნალისტურ სენსაციებს და ქვეყანაში არსებული პრობლემების ზუსტ და პირუთვნელ შეფასებებს იძლევიან.

ვახტანგ დავითაია:

რა ღირს ლეონარდო და ვინჩის ერთი საათი?

ჩემთვის ასეთია „საქართველოს რესპუბლიკა“. ხშირად „საქართველოს რესპუბლიკის“ ძველ ნომრებს დასაჯიწყებლად ვერ ვიმეტებ და ჩემს არქივში საპატიო ადგილს მივუჩენ. ასეთ გადასარჩენ ნომრებად მივიჩნიე ამა წლის „საქართველოს რესპუბლიკის“ №27-28, რომლებშიც გამოქვეყნებულია ვახტანგ დავითაიას წერილი საქართველოში უმაღლესი განათლების პრობლემების შესახებ — „რა ღირს ლეონარდო და ვინჩის ერთი საათი?“

წერილი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი ავტორი სამოცწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის საპატიო ტვირთს ატარებს, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ის უმაღლესი განათლების სისტემაში წარმოქმნილი სხვისთვის შეუმჩნეველ ნიუანსებს გვაწვდის და აანალიზებს.

დამაფიქრებელია ერთი საინტერესო ფაქტი, პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობაში ვახტანგ დავითაიას ამ წერილის შესავალში მოყვანილია ფრაზა, რომელიც მრავლისმთქმელია — „ეს წერილი კარგა ხანია, ჩემს მაგიდაზე დევს, გამოქვეყნებაზე არ მიზრუნია, დარწმუნებული ვიყავი, ის დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ეს ფრაზა მიგვანიშნებს იმაზე, რომ უახლოეს საქართველოს ისტორიას ახასიათებს ერთპიროვნული მმართველობა, ყოველი ობიექტური მოსაზრება კედლებზე შეყრილ მარცვლებად ცვივა და არავითარ კვალს არ ტოვებს, ეს ფრაზა უფრო მეტსაც მიგვანიშნებს, კერძოდ იმას, რომ ავტორს თანამედროვე ხელისუფლებაში არ ეგულება მოღვაწე, რომელიც პრინციპულად შეაჩერებს ყურადღებას მიმდინარე პრობლემებზე.

პუბლიკაცია უმაღლესი განათლების მწვავე საკითხებს ეხება — ფასიანი სწავლება და მასთან დაკავშირებული მორალურ-ეთიკური და ეკონომიკური პრობლემები, სამეცნიერო პედაგოგიური კადრების საკითხი განათლების უმაღლესი იერარქის მოძღვრის — პროფესორის საზოგადოებრივი რენომეს ელიტარულიდან რიგითობამდე დაცემა, უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით სახელოვნებო სკოლებში მიღების შეუსაბამობა სპეციფიკურ, ინდივიდუალურ მონაცემებთან — ტალანტთან, უცხოეთში განათლების მიღება როგორც პანაცეა, „ბოლონიის პროცესის“ ხარვეზები, ბიუროკრატიის, ქაღალდომანიის მომძლავრება, კათედრების ლიკვიდაციის დამანგრეველი შედეგები, საგანმანათლებო სისტემის იერარქიაში კომუნიკაციის არარსებობა. პუბლიკაციაში დეტალურადაა განხილული მოძღვარ-შეგირდის, პროფესორ-სტუდენტის ურთიერთობა, სახელოვნებო სკოლების სპეციფიკა. პუბლიკაციაში მოხმობილი მსოფლიოს ავტორიტეტული უნივერსიტეტების მაგალითები, პირდაპირ მიანიშნებენ, რომ წყლის ნაყვაა განათლების ხარისხზე ფიქრი, თუ კი რადიკალურად არ შეიცვლება სახელმწიფო პოლიტიკა განათლებისადმი, უპირველესად, ფინანსირების თვალსაზრისით. ავტორი მკაფიოდ აფიქსირებს პოზიციას — „უხარისხო განათლება უხარისხო წამალია, რომელიც უცილობლად ლეტალურ შედეგს იწვევს“.

ბატონმა ვახტანგ დავითაიამ ჩვეული პირდაპირობით მიგვანიშნა — „მეფე შიშველია“ და მოგვიწოდა მოქმედებისკენ.

ცნობილი ქართული ანდაზა ღაღადებს „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“. ამ წერილმა თავისი მისია შეასრულა, მან „ურემი“ გადააბრუნა და დაგვანახვა დანგრეული გზა, რომელზედაც ის გაჭირვებით, ტაატით მიდიოდა. ჯერი ჩვენზეა, დავრჩებით სირაქლემას პოზიციაში თუ გვეყოფა ძალა და ვაჟკაცობა, თვალი გავუსწორით მძიმე რეალობას და ერის საკეთილდღეოდ დავადგებით მართალ გზას? ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

მეგონა, ასეთ მართალ და უკომპრომისო პუბლიკაციას მყისიერი რეაგირება ექნებოდა შესაბამისი ინსტანციებიდან. პუბლიკაციიდან ერთი თვე გავიდა... როგორც ჩანს, „წერე და იკითხეს“ სინდრომი დღევანდელ საქართველოში, დიდად სამწუხაროდ, მყარია.

თამაზ დოგრაშვილი,

არქიტექტორი

რაც ჩვენს ეკონომიკას თვალსაჩინოდ მოაღორძინებდა

გასული წლის ბოლოს საქართველო წიაღისეული სიმდიდრითა და მისი ბედით დაინტერესებულმა საზოგადოებამ ფასეული საჩუქარი მიიღო გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის ნოდარ ცერცვაძისაგან – გამოიცა მისი მონოგრაფიული ხასიათის სამენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური) ნაშრომი – „საქართველოს მინერალური წყლები“ კატალოგითა და რუკით (თბ., „გამმა“, 243 გვ.). იგი, ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ჰიდროგეოლოგიის დარგის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია და წინამდებარე წერილიც ამაში მკითხველის დარწმუნების მოკრძალებული მცდელობაა.

ზოგადად მიღებულია, რომ ინტელექტუალური შრომის შედეგი ფასდება მისი როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით და გამონაკლისი არც ეს ნაშრომია. სახეზე გვაქვს შთამბეჭდავი მოცულობის ფასდაუდებელი ფაქტოლოგიური მასალა და შესაბამისი განმაზოგადებელი დასკვნები.

საქართველოს მინერალური წყლების ცალკეული საბადოებისა და გამოსავლების შესწავლა სხვადასხვა მიზნებისა და ამოცანებისათვის თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე წარმოებდა და ქვეყნდებოდა ამ შესწავლის ამსახველი შედეგებიც. საბოლოოდ, ბუნებრივია, დაგროვდა სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დიდძალი ფაქტოლოგიური მასალა და როდესაც თითქმის დამთავრდა ქვეყნის მინერალური წყლების რეგიონალური შესწავლა, რომლის უშუალო მონაწილე ამ წიგნის ავტორიც გახლდათ. წამოიჭრა ამ მოცულობითი ინფორმაციის სისტემაში მოყვანის აუცილებლობის საკითხი. მისი გადაჭრა ბ-მა ნოდარმა ითავა და უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას მან ღირსეულად გაართვა თავი.

ნაშრომში ავტორი განიხილავს მიწისქვეშა წყლების ფორმირების ორ ძირითად ფაქტორს – ლითოლოგიურსა და სტრუქტურულს და, საბოლოოდ, წამყვან როლს ანიჭებს ამ უკანასკნელს. ამ არჩევანის მართებულობის დასამტკიცებლად, ავტორს, რეგიონული დაკვირვებების განზოგადების გარდა, ლაბორატორიული კვლევებისა და ჰიდროქიმიური მასალის შედეგების დამუშავებისას ფართოდ აქვს გამოყენებული მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ავტორის რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი მიგნება და სიახლე. ერთ-ერთი მათგანი ეხება მინერალური წყლების ტემპერატურული რეჟიმის დამოკიდებულებას თანმხლები აირის შემცველობაზე. ავტორის ყურადღებას არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ ყველა გეოტექტონიკურ ერთეულთან დაკავშირებული ნებისმიერი შედგენილობის **არანახშირმჟავა** მინერალური წყალი არის თერმული ან სუბთერმული, ხოლო ნახშირმჟავა აირით გაჯერებული წყლები კი ხასიათდებიან დაბალი – 12°C-ზე ნაკლები – ტემპერატურით. მრავალწლიანი დაკვირვებებისა და ბუნებრივი ანალოგიების საფუძველზე ავტორი გვთავაზობს ფრიად ორიგინალურ და საკმაოდ დამაჯერებელ დასკვნას იმის შესახებ, რომ დიდი სიღრმით – მაღალი წნევის არედან პოსტვულკანური ორთქლისა და ნახშირმჟავა აირის ნარევი სიღრმისეული ტექტონიკური რღვევების საშუალებით ხდება დაბალი წნევის გარემოში და იწყებს გაფართოებას, რის გამოც სისტემაში ხდება ტემპერატურის ვარდნა (ანუ ადგილი აქვს ე. წ. „ადიაბატურ“ პროცესს), ხოლო, ვინაიდან კავკასიონის ღერძულ ნაწილსა და სამხრეთ ფერდზე ტექტონო-მაგმატური აქტივობა ინტენსიურია და ადგილი აქვს ნახშირორჟანგის ძლიერ ფართობრივ ეფუზიას. აღწერილი პროცესი დამახასიათებელია მთელი ამ რეგიონისათვის და, ამიტომ, მის ფარგლებში არ გვხვდება თერმული წყლის არც ერთი გამოვლინება. ავტორის ეს კარგად დასაბუთებული მოსაზრება სრულიად ახალია და მიგვაჩნია, რომ მას აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მომავალი ძიების სწორად წარმართვისათვის.

რაც შეეხება წიგნის **პრაქტიკული** მნიშვნელობის შეფასებას დავიწყებ ზოგადი მოსაზრების შეხსენებით, რომ, ნებისმიერი ქვეყნის უზენაესი მიზნის – პოლიტიკური დამოუკიდებლობის – მიღწევა მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული მისი ეკონომიკური წარმატებულობით. ამ უკანასკნელს კი, ძირითადად, ისეთი ფაქტორები განსაზღვრავენ, როგორიც არის: ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის დონე, უახლესი ტექნოლოგიების მიმართულებით რაიმე წარმატების მისაღწევად საჭირო ინტელექტუალური რესურსის არსებობა და ბუნებრივი სიმდიდრე წიაღისეულის სახით.

დიდად სამწუხაროა, რომ **მრეწველობას**, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, უახლოეს წლებში ეკონომიკის განვითარების ხელშესახებ ფაქტორად ვერ განვიხილავთ; **სოფლის მეურნეობას** მხოლოდ ახლახან დაეტყო, თითქოს, იმედის მომცემი პოზიტიური ძვრები, მაგრამ, როგორც ჩანს, სერიოზულ მიღწევებამდე ჯერ კიდევ შორს არის; რესპუბლიკიდან **ინტელექტუალური ძალების** ჯერ კიდევ საბჭოთა სინამდვილეში დაწყებულმა „გადინებამ“ დღეისათვის, ჩემი აზრით, იმდენად შეზღუდა ერის შესაძლებლობები, რომ ილუზორული გახადა მათი მეშვეობით რაიმე ტექნოლოგიური სახის „გარღვევის“ იმედები.

რაც შეეხება ბუნებრივ რესურსებს. საქართველო არა მარტო მცირემიწიანი ქვეყანაა, არამედ **წიაღისეულის** სიმდიდრითაც არ გამოირჩევა. ერთადერთი, რაც ბუნებამ არ „დაგვამადლა“, ეს – მიწისქვეშა წყლების სიუხვეა – ქვეყანას გააჩნია მტკნარი, მინერალური და თერმული წყლების მნიშვნელოვანი მარაგები, რომელთა წარმატებით (რაციონალურად!) გამოყენებამ შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკას შესამჩნევი პოზიტიური კვალი დაატყოს.

ძნელია სათანადოდ არ შეფასდეს ქვეყნისათვის **მტკნარი** მიწისქვეშა (სასმელი) წყლების მნიშვნელობა, რადგან ჩვენი ქვეყნის ბევრ ადგილას იგი ჯერ კიდევ **სასიცოცხლო** როლის მატარებელია.

ამასთანავე, მან – როგორც საექსპორტო პროდუქტმა – დიდი როლი შეიძლება შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების თვალსაზრისითაც, თუმცა ამისათვის საჭიროა დიდი ძალისხმევა მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების პროდუქციის მონოპოლიური მდგომარეობის დასაძლევად. ამ მიმართულებით აქამდე განხორციელებულმა მცდელობებმა, სამწუხაროდ, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. იგივე წინააღმდეგობები არსებობს მინერალური წყლების ექსპორტის თვალსაზრისითაც.

მტკნარი და მინერალური წყლებისაგან განსხვავებით, **თერმული** წყლები, გასაგები მიზეზებისა გამო, მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების პროდუქტს წარმოადგენს, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ თითქმის არაფერია გაკეთებული ამ უძვირფასესი წიაღისეულის თბოენერგეტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიმართულებითაც.

რაც შეეხება **მინერალურ წყლებს** – ძნელია მოიძებნოს სხვა ისეთი ქვეყანა, რომელიც თავს მოიწონებდეს ამ რაოდენობისა და ასეთი უძვირფასესი თვისებების მქონე მრავალგვარი შედგენილობის მინერალური წყლებით. ამ გაგებით ჩვენი ქვეყანა ერთგვარი ბუნებრივი ლაბორატორიაა, სადაც მოიპოვება მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა ტიპისა და თვისებების მქონე მიწისქვეშა წყალი და ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ამ მშვენივრად გაფორმებული და წონიანი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც!) წიგნის გადაფურცვლა, გაცნობა თანდართული კატალოგისა, რომელიც მოიცავს თითქმის სრულ ინფორმაციას მიწის ზედაპირზე მინერალური წყლების 1500-მდე(!) გამოსავლის შესახებ, და რუკისა, რომელზედაც შესაბამისი პირობითი ნიშნებით დატანილია ყველა ეს გამოსავალი. ასეთი მაღალი ხარისხის ინფორმატიულობის კატალოგი და რუკა პირველად ქვეყნდება ჩვენში და მათი გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებას ის ფაქტიც ამძაფრებს, რომ თითქმის ყველა ეს გამოსავალი ავტორის მიერ თავად არის დასინჯული და შესწავლილი ამ დარგში მისი მოღვაწეობის 65 წლის მანძილზე.

მინერალური წყალი სხვა სახის წყლებისაგან იმითაც გამოირჩევა, რომ უფრო ფართოა მისი ადგილობრივად გამოყენების არეალი, სამკურნალო დანიშნულებით მისი შესაძლებლობების რეალიზაციის გათვალისწინებით. ზედმეტია იმ ბალნეოლოგიური კურორტების შეხსენება, რომლებითაც საქართველო ცნობილი იყო ყოველთვის.

ქვეყნის ეს პოტენციალი უნდა აღდგეს, რამაც საგრძნობლად უნდა გააძლიეროს ტურისტული ნაკადი (სამკურნალო ტურიზმი) და, შესაბამისად, გაზარდოს საექსპორტო შემოსავალი. როგორც ამ დარგის ერთ-ერთი გულშემატკივარი მივმართავ ყველას – ხელისუფლებას, კერძო სექტორს, ბიზნესმენებს, საინიციატივო ჯგუფებს: ბ-მა ნოდარმა საახალწლოდ შესანიშნავი საჩუქარი მოგვართვა მინერალური წყლების ათვისების შესახებ უნიკალური ინ-ფორმაციის შემცველი სამაგიდო წიგნის სახით!



ჯერი თქვენზეა! როგორც ამბობენ: **„ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!“**

ილამაზ მიწიშვილი

იმერეთში სასათბურე კლასტერის პროექტი განხორციელდება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სასათბურე კლასტერის პროექტს 2018 წელს განახორციელებს.

როგორც სამინისტროდან „ჯი-ეიჩ-ენს“ აცნობეს, პროექტი იმერეთის რეგიონში აგროზონის შექმნას ითვალისწინებს, სადაც, სახელმწიფოს მხარდაჭერით, მსხვილი სასათბურე კლასტერი აშენდება. პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილია 100 მილიონი ლარის ინვესტიცია.

მათივე ცნობით, პროექტი მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო დარგის, კერძოდ, სასათბურე მწვანილისა და ბოსტნეულის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტიმულირებას და ახალ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობას. ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტის მქონე სასათბურე მეურნეობის კლასტერული მოდელი და სატვირთო გადაზიდვების ტერმინალი (კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტში) შეიქმნება.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლება საქართველოს ყველა მოქალაქეს და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა იურიდიულ პირს. პროექტში მონაწილე პირებმა უნდა უზრუნველყონ მიღებულ მიწის ნაკვეთზე სასათბურე ფართის აშენება არანაკლებ 0.1 ჰა-ზე და არაუმეტეს 5 ჰა-ზე.

აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებისას, სახელმწიფო უზრუნველყოფს იმერეთის აგროზონის ტერიტორიაზე გზის, ელექტროენერგიის, წყლის, გაზის მიყვანას.

ბათუმის ნაპირდაცვას საიმედოდ ამაგრებენ

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ბათუმში ნაპირდაცვის სამუშაოებს ახორციელებს. პროექტი აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება დაახლოებით 56 მლნ ლარია. მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გაგი ბუაძემ და მისმა მოადგილემ ილია ღუდუშაურმა დაათვალიერეს.

ბათუმის ნაპირდაცვის პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 2 კმ ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობას, სანაპირო ზოლის აღდგენას და დაზიანებული ბულვარის სრულ რეაბილიტაციას. ბულვარის აღდგენილ სანაპიროსთან დაკავშირების მიზნით, მოეწყობა 12 საფეხმავლო ხიდი, რომლის სიგრძე 20 მეტრი იქნება, ხოლო სიგანე 1,5 მეტრი.

ლევან პირველის როლი ავსტრიის საგარეო პოლიტიკაში

გერმანული გამოცემა „DIE ZEIT“ ჰერვინგ ჰიოლერის ავტორობით სტატიას აქვეყნებს, სადაც საუბარია ავსტრიის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ.

სტატიაში საუბარია საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის ლევან პირველის შესახებაც.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულ რეზიუმეს:

ავსტრიის თავისუფლების პარტიას, რომელიც ქვეყნის მმართველ კოლიციაში შედის, სერბ ნაციონალისტებთან მჭიდრო კონტაქტი აქვს და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიმართ სიმპათიებს ამჟღავნებს. რატომ?

2007 წლიდან დაწყებული, როცა თავისუფლების პარტიას სათავეში ჰანს-ქრისტიან შტრახე ჩაუდგა, მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი რადიკალურად შეიცვალა: თუ წინა ლიდერი კოსოვოს უჭერდა მხარს, ამჟამინდელი სერბეთის მხარდამჭერია. იმავე ხანებში დაიწყო რუსეთთან და მის პრეზიდენტთან დაახლოებაც. 2007 წელს, ვენაში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის წინ, ჰანს-ქრისტიან შტრახემ დაიწყო პრორუსული განცხადებების გაჟღერება, აშშ ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა და ხაზი გაუსვა, რომ ავსტრიაში ვლადიმერ პუტინი ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნება. ერთი წლის შემდეგ ჰანს-ქრისტიან შტრახემ თავისი პოზიცია ერთმნიშვნელოვნად გამოხატა საქართველო-რუსეთის ომის მიმართაც: მაშინ როცა მსოფლიო თანამეგობრობა რუსეთს აკრიტიკებდა, თავისუფლების პარტიის ლიდერი მოსკოვის მოქმედებას გაგებით შეხვდა.

ამ ფონზე საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველმა ბიზნესმენმა და პრორუსულმა პოლიტიკოსმა ლევან პირველმა. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული ცენტრის მონაცემებით ირკვევა, მას 2001 წელს სამშობლოში 21 წლის სტუდენტის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს და თავს ავსტრიაში გაქცევით უშველა, სადაც მალე პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. ვენაში ლევან პირველს კარგად იცნობდნენ: 1998 წელს მის ფირმას — Anglo Oil International Ltd-ს და საქართველოს ნავთობის კომპანიას ავსტრიულმა Raiffeisen Zentralbank-მა კრედიტი მისცა ენერგეტიკული პროექტის განსახორციელებლად. პროექტის რეალიზება ჩაიშალა. საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში პროდასავლური პოლიტიკოსის მიხეილ სააკაშვილის გამარჯვების შემდეგ მისმა მთავრობამ, სახელმწიფო გარანტიების მიუხედავად, ავსტრიული ბანკისათვის კომპენსაციის გადახდაზე უარი თქვა. თბილისმა ბანკისათვის ფულის დაბრუნება მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო: 2015 წლიდან 2017-ის ჩათვლით ვენაში 25 მილიონი დოლარი გადაირიცხა.

თუმცა ეს ისტორია თავისუფლების პარტიისათვის ბარიერად არ ქცეულა. ლევან პირველთან კონტაქტები 2007 წელსაც აღინიშნა: თავისუფლების პარტიის ერთ-ერთი აქტივისტი (და ევროდეპუტატი) ბარბარა კაპელი და მისი კომპანია Austrian Technologies გარკვეული პერიოდის განმავლობაში პარტნიორი იყო კომპანიისა Amadea Holding GmbH, რომლის უმსხვილეს აქციონერს სწორედ ლევან პირველი წარმოადგენდა. გარდა ამისა, 2014 წელს იმავე ევროპარლამენტის დეპუტატმა და თავისუფლები პარტიის წევრმა მოაწყო დისკუსია გეოპოლიტიკურ საკითხებზე, რომელშიც ლევან პირველიც მონაწილეობდა. მოგვიანებით კი ჰანს-ქრისტიან შტრახემ იგი ავსტრიის ეროვნულ საბჭოში ასე წარადგინა: „ლევან პირველი, ჟენევის კონვენციის თანახმად, ლტოლვილია, რომელსაც თავის ქვეყანაში სიკვდილის საფრთხე ელოდება“.

თავისუფლების პარტიის ძალისხმევას რუსეთში მიესალმნენ: 2008 წლის ბოლოს პარტიული დელეგაცია მოსკოვს ეწვია და დედაქალაქის მერს იური ლუჟკოვს შეხვდა. ამის შემდეგ რუს პოლიტიკოსებთან კონტაქტებმა რეგულარული ხასიათი მიიღო. 2012 წლის დასაწყისში ავსტრიის თავისუფლების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და ვენის მომავალი ვიცე-მერი იოჰან გუდენუსი, ეროვნული საბჭოს მრჩეველი იოჰან ჰიუბნერი და ლევან პირველი გროზნოში ჩეჩნეთის ლიდერს რამზან კადიროვს ეწვივნენ. ვინ დააფინანსა მათი ვიზიტი, ამაზე პარტიას არაფერი უთქვამს, თუმცა, როგორც რუსმა ჟურნალისტმა მაქსიმ შევჩენკომ განაცხადა (იგი შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობდა), „ვიზიტი ჩეჩნურმა მხარემ უზრუნველყო“ — ნათქვამია სტატიაში.

P. S. სტატიის სათაური ინტერპრეტირებულია. დედნის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://www.zeit.de/2018/09/fpoe-oesterreich-serbien-russland-beziehungen-wladimir-putin/komplettansicht

„Die Zeit“ (გერმანია)

საქართველო დღემდე უხდის ბელარუსს საფასურს, რაკი მინსკმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ აღიარა

ბელარუსის დამოუკიდებელი ტელევიზიის Белсат TB-ის პროგრამაში „Тэрыторыя прауды“ („სიმართლის ტერიტორია“), რომლის წამყვანები ცნობილი რუსი ჟურნალისტები ევგენი კისელიოვი და სვეტლანა კალინკინა არიან, ბელარუსის საგარეო პოლიტიკის შესახებ ისაუბრეს. აქვე შევნიშნავთ, რომ „Белсат TB“ მაუწყებლობს პოლონეთიდან და ხშირად მწვავედ აკრიტიკებს ბელარუსის დღევანდელ ხელისუფლებას.



პროგრამაში დაისვა კითხვა: **„რით უხდის საქართველო ბელარუსს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარების სანაცვლოდ“?**

გადაცემის ერთ-ერთმა მონაწილემ საქართველოს ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტმა პაატა შეშელიძემ ამ კითხვის საპასუხოდ აღნიშნა:

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ძალიან ძლიერ გავლენას ახდენს ბელარუსზე, რომ იქ არის პოლიტიკოსებისა თუ კლანების დიდი ინტერესი, ბელარუსმა მაინც შეძლო საკმაოდ დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა საქართველოს მიმართ. მაგალითად, ბელარუსი არ მონაწილეობდა იმ ემბარგოში, რომელიც რუსეთმა საქართველოს 2006 წელს გამოუცხადა. ოფიციალური მინსკი დღემდე არ აღიარებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ბელარუსი ცდილობს ღია იყოს (ქართული) ინვესტიციებისა და ვაჭრობისათვის. ცხადია, ამ ყველაფერს ბელარუსი უფასოდ არ აკეთებს: საქართველო იძულებულია ბელარუსისგან შეიძინოს ტრაქტორები და სხვა ტექნიკა, რომელსაც სხვა შემთხვევაში ნამდვილად არ ვიყიდდით“.

„belsat TV“

5 მილიონი დოლარი 6 წუთში გაიტაცეს

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მძარცველებმა თვითმფრინავიდან 5 მლნ დოლარი მოიპარეს. თვითმფრინავი ვირაკოპუსის აეროპორტის სატვირთო ტერმინალში იდგა, ავიაკომპანია Lufthansa -ს სატვირთო თვითმფრინავი ბრაზილიიდან შვეიცარიის ქალაქ ციურიხში მიფრინავდა.

პოლიციის ცნობით, უცნობი პირები აეროპორტის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, ხუთმა პირმა დაცვა იარაღის მუქარით გააუვნებელყვეს და ლაინერიდან 5 მლნ დოლარი გაიტაცეს. გავრცელებული ცნობით, დამნაშავეებს ძარცვისთვის სულ რაღაც 6 წუთი დასჭირდათ. თანხა კომპანია Brink's-ის კონტროლის ქვეშ გადაჰქონდათ. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

სამშობლოს მოღალატე უცნობი შხამით მოწამლეს

ბრიტანეთში მცხოვრები რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი სერგეი სკრიპალი, რომელიც რუსეთში სამშობლოს ღალატისთვის იყო გასამართლებული, ბრიტანეთში უცნობი შხამით მოწამლეს. ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

„მივიღეთ შეტყობინება ორ ადამიანზე, რომლებიც თავს შეუძლოდ გრძნობდნენ. ადგილზე მისვლისას დავაფიქსირეთ 60 წლამდე მამაკაცი და 30 წლამდე ქალბატონი, რომლებიც სავაჭრო ცენტრთან მდებარე სკამზე უგონო მდგომარეობაში იწვნენ ქალაქ სოლსბერიში“ — ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

ერთ-ერთი თვითმხილველის განცხადებით, ისინი გამოიყურებოდნენ უცნაურად და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ მიღებული ჰქონდათ რაღაც ძალიან ძლიერი საშუალება, რადგან მამაკაცი მაღლა იყურებოდა და ხელით უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა. სავაჭრო ცენტრი და მიმდებარე ტერიტორია მთლიანად იქნა დეზინფიცირებული. დროებით იქნა დახურული საავადმყოფოს მიმღები განყოფილებაც, სადაც დაზარალებულები მიიყვანეს. ქალაქ სოლსბერის ძალოვნებმა ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.

გერმანია ტრამპის მუქარას გამოეხმაურა



ტრამპის ირგვლივ უკვე საუბრობენ ევროკავშირთან წამოწყებული სავაჭრო ომის შესახებ.

ბერლინში არ სურთ აშშ-სთან სავაჭრო ომი, „ეს ორივე ქვეყანას ზარალს მიაყენებს“ — განაცხადა გერმანიის მინისტრთა კაბინეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შტეფან ზაიბერტმა, რომელმაც კომენტარი გაუკეთა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მუქარას ევროპულ ავტომანქანებზე გადასახადების დაწესებასთან დაკავშირებით.

„ბერლინს არ უნდა სავაჭრო ომი აშშ-სთან, ეს არ შეიძლება შედიოდეს რომელიმე ქვეყნის ინტერესებში“ - განაცხადა ზაიბერტმა. მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანია „მხარს უჭერს თავისუფალ და ღია ბაზარს“.

„ჩვენ არ ვაღიარებთ ასეთ ზომებს. ეს საგრძნობლად იმოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო არხებზე. მეტწილად შეეხება ჩვენს ინდუსტრიასაც და პირველ რიგში ორივე მხარის დამქირავებლებს და დაქირავებულებს“ — განაცხადა ზაიბერტმა. შეგახსენებთ, რომ 3 მარტს აშშ-ის პრეზიდენტმა ევროპულ ავტომანქანებზე გადასახადების დაწესებით დაიმუქრა იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირი ამერიკულ კომპანიებზე გადასახადებს გაზრდის.

რა დაგვიცავს ინსულტისგან?

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლას ინსულტი ეწოდება, ის სნეულების ერთ-ერთი მრისხანე სახეობაა, რომელიც **ჯანსაღ ადამიანს უმალ უძლურად აქცევს, ხოლო სიკვდილს გადარჩენილთა 70 პროცენტს კი მოძრაობა ეზღუდება.**

ინსულტის მთავარი პროვოკატორი, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი, ქრონიკული სტრესია. ტრავმულ ვითარებაში არტერიული წნევა ნახტომისებრად მატულობს, რა დროსაც სისხლში სტრესის ჰორმონის — **კორტიზოლის გაფრქვევა** ხდება, რაც შესაძლოა, ტვინში კატასტროფის მიზეზი გახდეს.

მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ **ჯანმრთელი ადამიანის ინსულტამდე მიყვანა შეუძლებელია:** სტრესსა და ინსულტს შორის ყოველთვის არსებობს „შუამავალი“, უფრო ხშირად ამ როლს არტერიული ჰიპერტენზია (120/80-ზე გამუდმებული მაღალი წნევა), **სისხლძარღვთა კედლებზე წარმოშობილი ათეროსკლეროზული ბალთები** (რომელთა გამო ინსულტის განსავითარებლად ხელსაყრელი პირობაა — ტვინის მკვებავი არტერიების შევიწროება) და **მოციმციმე არითმია** (რა დროსაც გულისწინა არეში თრომბები წარმოიშვება, რომელთაგან თავში „გასროლა“ ნებისმიერს შეუძლია) ასრულებს. **საიმისოდ, რომ მწვავე სტრესი ინსულტით დასრულდეს, საკმარისია ერთ-ერთი ფაქტორის არსებობა, ხოლო თუ სამივეს თანხვედრა მოხდება, მაშინ ინსულტის ალბათობა მშვიდ ვითარებაშიც მაღალია.**

მსოფლიო სტატისტიკა ასეთია: **ინსულტების 40 პროცენტის შემთხვევაში მისი გამომწვევი მიზეზი უცნობი რჩება.** განსაკუთრებით გაუგებარია ე.წ. „ახალგაზრდა ინსულტების“ (45 წლამდე) მიზეზები. ისინი, ძირითადად, იშვიათ სნეულებათა მიზეზით წარმოიშვებიან, რომელთა შორისაა სისხლის დაავადებები, ტვინის მკვებავ სისხლძარღვთა ფენებად დაშლა და პათოლოგიები, რომელთათვის წნევის აწევ-დაწევა შესაძლოა, კრიტიკული აღმოჩნდეს. პროფილაქტიკური სკრინინგის დროს მათი გამოვლენა შეუძლებელია, საამისოდ საფუძვლიანი პროფილური გამოკვლევაა საჭირო.



თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მიზეზები უფრო გამონაკლისია, ვიდრე ჩვეულებრივი ამბავი. **როგორც წესი, ექიმები ადვილად გამოიცნობენ ხოლმე თავიანთ პოტენციურ პაციენტებს პროფილაქტიკური დათვალიერების დროს.** თავის ტვინის მკვებავ სისხლძარღვთა შევიწროებას აჩვენებს სისხლძარღვთა შემოწმება, ასევე სისხლში ქოლესტერინის მომატება, რაც ათეროსკლეროზული ბალთების წარმოშობის მიზეზია. შაქრის ჭარბი ოდენობის დადგენა თითიდან აღებული სისხლის ანალიზით შეიძლება, მდგრად ჰიპერტონიას კი წნევის რეგულარული მონიტორინგი დაადგენს.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ **ინსულტის მოულოდნელად წარმოშობა ხშირად მითია ხოლმე. სწრაფად განვითარების მიუხედავად, სნეულება ხშირად გარკვეულ მინიშნებებს იძლევა წინასწარ, რომლებსაც პაციენტთა უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში ვერ ამჩნევენ, ან უგულებელყოფენ.**

ნევროლოგები გვაფრთხილებენ: **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვება უეცარი თავბრუსხვევების, მეხსიერების დაკარგვის, სახის ან სხეულის ნაწილის მგრძნობიარობის შემთხვევები, მეტყველების შეფერხებები, თუნდაც ის რამდენიმე წუთს გრძელდებოდეს, ასევე კაშკაშა სინათლის ან ხმაურის** ... **მაღალი ბგერების აუტანლობა.** ყველა აღნიშნული სიმპტომი ტრანზიტორული იშემიური შეტევის კლასიკური ნიშანია, რომელიც შემთხვევათა უმრავლესობაში ვრცელ ინსულტში გადადის. **ზედმეტად მომთმენლობა ამ სიმპტომების დროს შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთ!**

გახსოვდეთ: უცბად წარმოშობილი ძლიერი თავის ტკივილის მოთმენა არანაირ ვითარებაში არ შეიძლება! პაციენტების უმრავლესობამ, რომელთა ინსულტების „დაჭერა“ ადრეულ სტადიაზევე მოხერხდა, ექიმს აუტანელი თავის ტკივილის წარმოშობისთანავე მიმართა.

ინსულტი ხშირად მემკვიდრეობით გადაიცემა. ამიტომ, აღწერილი სიმპტომების მიმართ განსაკუთრებულად ყურადღებით ისინი უნდა იყვნენ, რომელთა მშობლებმა და და-ძმებმა ინსულტი 60 წლის მიღწევამდე გადაიტანეს.

ინსულტის ნულოვანი საფრთხე არ არსებობს, იგი შეიძლება ნებისმიერ ადამიანს მოუვიდეს, მაგრამ ისიცაა, რომ ოთხიდან სამ შემთხვევაში ინსულტის თავიდან აცილება შესაძლებელია, თანაც საამისოდ დიდი ძალისხმევა საჭირო არ არის.

— **ფიზიკური აქტივობა** ინსულტის რისკს 15-20 პროცენტით ამცირებს;

— **მავნე ჩვევების არქონა** (ინსულტის დროს განსაკუთრებით სახიფათოა თამბაქოს მოწევა) ტვინის კატასტროფის წარმოშობის ალბათობას კიდევ 20 პროცენტით ამცირებს;

— **თუკი ადამიანი არტერიულ წნევას, გულის რიტმს, სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის შემცველობას აკონტროლებს,** ინსულტის რისკი ნახევრდება.

გამოკითხვები მოწმობს, რომ ადამიანთა 80 პროცენტმა იცის, თუ რა არის ინსულტი, მაგრამ **მხოლოდ 20 პროცენტია** ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ამ დროს. ათიდან მხოლოდ სამი პაციენტი იძახებს „სასწრაფო დახმარებას“, დანარჩენებს იმედი აქვთ, რომ ყველაფერი თავისით გაივლის, მაგრამ **ინსულტი — ესაა გადაუდებელი მდგომარეობა, რა დროსაც მაქსიმალურად ეფექტიანი მკურნალობის დაწყება მხოლოდ პირველი 3-4 საათის განმავლობაშია შესაძლებელი.** ამიტომ, ეჭვის გაჩენისთანავე საჭიროა სამედიცინო ბრიგადის გამოძახება და შეტყობინება, რომ ეჭვი ინსულტზეა.

როგორ ავირიდოთ ინსულტი

წნევა. შემთხვევათა 80 პროცენტში ადამიანი წნევის მომატებას ვერ გრძნობს, ამიტომ 40 წლის შემდეგ მისი ყოველდღე გაზომვაა საჭირო. ნორმალური წნევის ზედა ზღვრებია 140/80-ზე. მათთვის კი, ვისთვისაც სამუშაო წნევა 90/60-ზეა, სტანდარტული წნევა — 120/80-ზე — ჰიპერტონული კრიზის ნიშანია.

წონა. ზედმეტი კილოგრამები — ესაა გულსა და სისხლძარღვებზე ზედმეტი დატვირთვა.

პროფილაქტიკური გამოკვლევები. 45 წლის მიღწევის შემდეგ წელიწადში ერთხელ საჭიროა თავის ტვინის სისხლძარღვთა ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარება, ორჯერ კი სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის დონეების შემოწმება.

ემოციების კონტროლი. სტრესები წნევას მაღლა სწევს, რაც ინსულტის ხელშემწყობი სხვა ფაქტორების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა, მის მაპროვოცირებელ მიზეზად იქცეს.

ნუ მოსწევთ! ალკოჰოლის მიღება იშვიათად, ისიც „თერაპევტული“ ულუფებით შეიძლება. თამბაქოს მოწევა ინსულტის ალბათობას 20 პროცენტით ზრდის, ჭარბი ალკოჰოლი კი შესაძლოა, ინსულტის მიზეზი გახდეს.

მეტი იმოძრავეთ! ხანდაზმულთათვის სპორტის ყველაზე უსაფრთხო სახეობაა სწრაფი სიარული. ჭარბი ფიზიკური დაძაბვა გულით დაავადებულთათვისაც და თავის ტვინის კატასტროფებისთვისაც გაზრდილი რისკის ფაქტორია.

თევზეული მიირთვით, თევზეული!

ზღვის **პროდუქტების მოხმარება დეპრესიის განვითარების რისკს 88 პროცენტით ამცირებს.**

ეს დასკვნა მეცნიერებმა ემოციებსა და გუნება-განწყობაზე კვების პროდუქტების ზეგავლენის შესწავლის შემდეგ გამოიტანეს.

აღნიშნული ეფექტი მათში ფოსფორისა და „ომეგა-3“-ის ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობით აიხსნება, რომლებსაც ანტიოქსიდანტური მოქმედებით და თავის ტვინის სისხლით მომარაგების გაუმჯობესების უნარი აქვთ.

თუ სურდო ვეღარ მოირჩინეთ...

ხშირად ვამბობთ — სურდოს გინდ უმკურნალე, გინდ არა, მაინც ვერაფერს უშველი, ერთ კვირაში თავისით გაივლისო, მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით კი გაზაფხულსა და შემოდგომაზე, სურდოს მორჩენა უსაშველოდ „იწელება“. მაინც რატომ ხდება ასე და, რაც მთავარია, როგორ შეიძლება ამის შველა?

სურდოს „გაჭიანურება“ იმის ნიშანია, რომ ანთებითი პროცესი ცხვირის წიაღში — ჰაერით სავსე სივრცეებში გადავიდა, რომლებიც სახის ძვლებშია განთავსებული. ასეთი ანთების რამდენიმე სახეობა არსებობს, მათ შორისაა ჰაიმორიტი, ფრონტიტი, ეტმოიდიტი და სფენოიდიტი.

თუკი ინფექცია ცხვირის წიაღში შეაღწევს, აუცილებლად ექიმს უნდა მიმართოთ, რადგან არასწორ მკურნალობას ჩირქოვანი პროცესის გამოწვევა, თვალის კაკლის ანთება და ქალა-ტვინის გარსის ანთების გამოწვევაც კი შეუძლია.

განგაშის ხუთი საბაბი კი, რომლებიც გართულების დასაწყისს მოასწავებს, შემდეგია:

— სურდოს დაწყებიდან 4-5 დღის შემდეგ გაგიჩნდათ თავის ტკივილი, განსაკუთრებით კი წინ გადახრის დროს. ანდა შუბლის, ცხვირის ფუძის, ლოყების არეებში საშუალო სიძლიერის მტკივნეული შეგრძნებები გაქვთ;

— თვალების, ცხვირის ფუძის, ლოყების გარშემო შეშუპება გაგიჩნდათ;

— სურდო ათ დღეზე მეტხანს გაგიგრძელდათ;

— დიდი ხნის მანძილზე ტემპერატურა 37,1-37,5 ფარგლებში გაქვთ;

— 10-14 დღის მანძილზე ცხვირი გაჭედილია, თუმცა სურდო არა გაქვთ.

პაციენტის გასინჯვის შემდეგ ოტოლარინგოლოგმა შეიძლება დანიშნოს ცხვირის წიაღის ულტრაბგერითი გამოკვლევა, მათი რენტგენი, ენდოსკოპია ან რინოციტოგრამა.

გახანგრძლივებული სურდოს მკურნალობა ყოველთვის კომპლექსურია, რა დროსაც სახლში მარილხსნარით ცხვირის გამოვლება დღეში რამდენჯერმე მოგიწევთ. ამასთან ერთად, უნდა იხმაროთ სისხლძარღვების შემავიწროებელი წვეთები და ანტიჰისტამინური საშუალებები, რომლებიც ლორწოვან შეშუპებას ამცირებენ და სუნთქვას აადვილებენ. ჩირქოვანი პროცესის დროს ასევე აუცილებელია ანტიბიოტიკების ხმარება.

მწვავე პროცესის დასრულების შემდეგ კი ინიშნება ფიზიოთერაპიული პროცედურები.

წერტილოვანი მასაჟები

გახანგრძლივებული სურდოს დროს სასარგებლოა სახის



გარკვეული წერტილების წრიულად დაზელვა მათზე ცერა ან საჩვენებელი თითების დაჭერით. უკეთესი ეფექტის მისაღწევად ყველა წერტილი სამ-სამჯერ დაიზილეთ.

წერტილი №1. ნესტოების კიდეებში.

წერტილი №2. თვალების გარე კუთხეებში.

წერტილი №3. ცხვირის ფუძეზე წარბებს შუა.

წერტილი №4. ყურის ბიბილოს ოდნავ ზევით.

შენიშვნა: მასაჟი არ შეიძლება მაღალი სიცხის, მწვავე ჩირქოვანი პროცესების დროს, ასევე ხალების, ფერიჭამიებისა და სხვა წარმონაქმნების ადგილებში.

გვერდი მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◎ მძლეოსნობა

გამარჯვებაც, ევროპის საგზურიც

თბილისის მძლეოსნობის სასახლემ 2001-2003 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს პირველობას უმასპინძლა დარბაზებისთვის. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 14 წლის დედაქალაქელმა მედეა შონიამ, რომელმაც 60 მეტრზე რბენისას დისტანცია 8,30 წამში დაფარა. სიგრძეზე ხტომაში გიორგი კარდაშიანმა (თბილისი) იყოჩაღა – 6,90 მეტრით პირველი ადგილი ხვდა. თბილისელმა გიორგი კეკიშვილმა ამას წინათ ახალგაზრდებს შორის ბელარუსის ღია პირველობაზე 68,80 მეტრით მეორე ადგილი დაიკავა, ამჯერად კი 72,23 მეტრით თანატოლებს შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. კეკიშვილმა ამ შედეგით ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მოიპოვა. ეს შეჯიბრება 5-8 ივლისს უნგრულ დიორში გაიმართება, სადაც მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშების საგზურებიც გათამაშდება და, ცხადია, ქართველი უროს მტყორცნელი აღნიშნულ ფორუმზე მოსახვედრადაც იბრძოლებს.

10-11 მარტს პორტუგალიური ლეირია 23-წლამდელებში ევროპის თასის გათამაშებას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში ქართველები - გიორგი მუჯარიძე (ბირთვი) და ნინო წიქვაძე (უროს ტყორცნა) იასპარეზებენ.

ახლა კი საქართველოს პირველობის გამარჯვებულებს გაგაცნობთ:

გოგონები. მედეა შონია (თბილისი, 60 მ. 8,30), მარი დემურაშვილი (ქუთაისი, 200 მ. 28,65), დალი წივწივაძე (თბილისი, 400 მ. 1.06,80), მარი ფხალაძე (ჭიათურა, 800 მ. 2.33,27 და 11.46,72), მედეა შონია (თბილისი, სიგრძეზე ხტომა, 4,63), ნინო გაზდელიანი (თბილისი, სამხტომი, 10,10), სალომე ინჯია (თბილისი, ჭოკით ხტომა, 2,80), ელენე თურმანიძე (თბილისი, ბირთვი, 9,87), ანი ჩოხელი (თბილისი, შუბი, 35,17), მარიამ აბუაშვილი (თბილისი, უროს ტყორცნა, 49,80).

ვაჟები. ლუკა გულუა (ხობი, 60 მ. 7,35), ლაშა კირკიტაძე (ქუთაისი, 200 მ. 24,01), საბა მარღანია (ფოთი, 400 მ. 59,13), ლუკა გოგინაშვილი (თბილისი-რუსთავი, 800 მ. 2.01,43), სანდრო თვალავაძე (თბილისი, 3000 მ. 9.58,03), სანდრიკ ხაჩატურიანი (თბილისი, 60 მ/ თარჯებით, 9,13), შოთა კალანდია (აბაშა, 3000 . წინაღობებით), გიორგი კარდაშიანი (თბილისი, სიგრძეზე ხტომა, 6,90), ტარიელ ჩიქოვანი (აჭარა, სამხტომი, 11,27), ლუკა ივანეიშვილი (ქუთაისი, სიმაღლეზე ხტომა, 185), მიხეილ ცანავა (თბილისი, ჭოკით ხტომა, 4,40), გიორგი ლიპარტია (ზუგდიდი, ბირთვი, 11,48), საბა ზუბულაშვილი (თბილისი, ბადრო, 44,46), დათო ხოზრევანიძე (ხონი, შუბი, 56,32).

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

გოლუხვი მასპინძლები

მოვიდა გაზაფხული და ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატიც დაიწყო.

წლის ულამაზესი დროის შემობრძანებას, ტრადიციისამებრ, საპროტესტო ტალღის აგორებაც მოჰყვა, ამჯერად – ოკუპირებულ სამაჩაბლოში დაღუპული ჯარისკაცის არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის სასწრაფოდ გადმოცემის მოთხოვნით.

მოვლენათა ასეთმა განვითარებამ ასახვა ეროვნული ლიგის სასტარტო ტურის კალენდარზეც ჰპოვა და ერთბაშად სამი შეხვედრა დედაქალაქის სტადიონებზე ერთი დღის დაგვიანებით გაიმართა. მათგან ორი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა, დანარჩენი მატჩები კი ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა: **„ტორპედო“ – „დილა“ 2:3, „ჩიხურა“ – „კოლხეთი“ 6:1, „დინამო“ – „რუსთავი“ 1:2, „საბურთალო“ – „ბოლნისი“ 3:1, „ლოკომოტივი“ – „სამტრედია“ 1:2.**

გიორგი ზოთაძე

◎ ფოტორეპორტიორი

წამის „დაჭერის“ დიდოსტატი



ხალხმრავლობა იყო თიბისი ბანკის სათაო ოფისის დიდ დარბაზში, სადაც სახელოვანი ფოტორეპორტიორის – სანდრო კოტორაშვილის პერსონალური ფოტოგამოფენა და მისი ფოტოალბომის წარდგინება მოეწყო. ვის არ ნახავდით აქ – ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებს, სპორტის მუშაკებსა თუ ფუნქციონერებს, „კოტორას“ ხელოვნების თაყვანისმცემლებს. საღამოს მთავარი გმირები მაინც 75 წლის ფოტორეპორტიორის ფოტოებია, რომლებზეც პაექრობათა სახიფათო ეპიზოდები, საყოველთაოდ ცნობილი სპორტსმენების ფინტები და ფანდები, მათი განწყობა – ემოცია, სიხარული, დარდი და საფიქრალია აღბეჭდილი. ჩვენი უფროსი კოლეგის კამერა 55 წლის განმავლობაში „იჭერდა“ და იმახსოვრებდა ამ თითოეულ წამს. ზოგმა კადრმა ახმეტის რაიონის სოფელ ახშენში დაბადებულსა (1943 წლის 18 თებერვალი) და დავაჟკაცებულს შორს გაუთქვა სახელი – ვინ იცის, მისი ფოტოები რამდენი კონკურსის გამარჯვებულია, ერთ-ერთი კი, რომელსაც თავად „საფეხბურთო ბალეტი“ უწოდა, უეფას შტაბ-ბინის კედელს ამშვენებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის 100 საუკეთესო ფოტოა დაბეჭდილი ფოტოალბომში, რომელიც იუბილარს ცხოვრების 75-ე წლისთავზე ეღირსა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ მიხეილ აბაიშვილის ინიციატივითა და თბილისის მერიის თანადგომით. გამოფენის გახსნისა და ფოტოალბომის წარდგენის საზეიმო საღამოზე ორმაგ იუბილარს მიესალმნენ და მის შემოქმედებაზე ილაპარაკეს მიხეილ აბაიშვილმა, ჯამლეტ ხუხაშვილმა, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლებმა, კოლეგებმა – თენგიზ გაჩეჩილაძემ, პაატა ნაცვლიშვილმა, ინგა ჩახვაშვილმა, აგრეთვე ჯემალ ღაღანიძემ, დურმიშხან ჩიტაშვილმა და სხვებმა. დამსწრეთ აჩვენეს რეჟისორ გოგი თორაძის დოკუმენტური ფილმი „რეპორტიორი“, რომელიც ალექსანდრე კოტორაშვილს ეძღვნება.

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ჯაბა ბრეგვაძე ემზადება

მიმდინარე წლის 24 თებერვალი ქართული რაგბის ისტორიაში შევიდა – იმ დღეს, უფრო სწორად, იმ დილას ყველა მორაგბისთვის საოცნებო ლიგა სუპერ რაგბიში ჩვენი მოთამაშის დებიუტი შედგა. ჯაბა ბრეგვაძემ შემოდგომაზე კონტრაქტი იაპონურ ფრენშაიზთან – „სან ვულვზთან“ გააფორმა, 24 თებერვალს კი „ბორჯღალოსანი“ კვაჭი სუპერ რაგბის (იგივე ზე-15-ის) ახალი სეზონის სასტარტო მატჩში თავისი გუნდის განაცხადში გამოჩნდა.

ქართველი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა ამ უპრესტიჟულეს ტურნირში თანამემამულე მორაგბის გამოჩენას და ეს მომენტიც დადგა: ტოკიოს „რაგბის სტადიონზე“ ავსტრალიურ „ბრამბიზთან“ შეხვედრის 61-ე წუთზე „მზის მგლების“ 16 ნომერი ჯაბა ბრეგვაძე შეცვლაზე შევიდა, თუმცა, ბოლომდე ვერ ითამაშა – დაშავდა და შოტა ჰორიეს, „სან ვულვზის“ სასტარტო ჰუკერს, მოედანზე დაბრუნება მოუხდა, ხოლო იაპონური გუნდი 25:32 დამარცხდა და 7-ქულიანი მარცხისთვის ბონუს-ქულა მიითვალა.

მუხლის ტრავმის გამო საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს „სან ვულვზის“ მომდევნი მატჩის გამოტოვებამ მოუწია. მისმა გუნდმა სხვა ავსტრალიურ ფრენშაიზთან – მელბურნის „რებელსთან“, ასევე შინ, 17:37 წააგო და ავსტრალიური კონფერენციის ცხრილის ბოლო ადგილზე დამკვიდრდა.

რაც შეეხება ჯაბას, „სან ვულვზის“ მწვრთნელი, ახალზელანდიელი ჯეიმი ჯოზეფი იმედოვნებს, რომ ქართველი კვაჭი მუხლს დღეს-ხვალ საბოლოოდ მოიშუშებს, სრულფასოვან წვრთნას განაახლებს და უკვე შაბათს სამხრეთაფრიკულ დურბანში იქაურ „შარქსს“ დაუპირისპირდება. ალბათ, ასეც მოხდება.

კობა კობახიძე

◎ ოსკაროსანი

აქამდეც ეკუთვნოდა

„ლეიკერზისა“ და მთლიანად კალათბურთის ვარსკვლავი კობი ბრაიანტი ამერიკის კინოაკადემიის ოსკარის მფლობელი გახდა.

„ოსკარის მიღება უფრო გამიხარდა, ვიდრე ნბა-ს ჩემპიონობა“ – განაცხადა მან.

კობიმ პრესტიჟული ჯილდო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროდიუსერობისთვის დაიმსახურა. ფილმს ჰქვია „ძვირფასი კალათბურთელი“, მისი ხანგრძლივობა კი 4 წუთია აღნიშნული მოკლემეტრაჟიანი ანიმაცია ბრაიანტის საკალათბურთო ცხოვრებას ეხება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მიზანი - თილისმობა

ლამაზმანმრავლობით სახელგანთქმულ ქვეყნებში ცნობილი მოდელები საფეხბურთო ნაკრების თილისმის ტიტულისათვის ერთ-ურთს რომ ეპაექრებიან - ეს ცნობილი ამბავია და ამაზე ბევრიც გვითქვამს. სხვებს, ცხადია, არც უნგრეთი ჩამორჩება და იქაც არაერთი გოგონა ოცნებობს უპირველესობაზე.

ცოტა ხნის წინათ ამ წოდებაზე პრეტენზია იტალიაში მოღვაწე პოდიუმის მადიარმა მშვენებამ ენიკო მიჰალკმაც გამოთქვა, რომელიც იძახის, რომ ეროვნული ფეხბურის დაცემა სხვა ყველაფერთან ერთად იმ ხალხმაც გამოიწვია, რომლებიც მხოლოდ ამბიციებით საზრდოობენ, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის ცოდნა და სიყვარული კი უბრალოდ არ გააჩნიათ.

როსტომ რაჭველიშვილი

ოპოზიცია ახლა ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმს მიახტა!

თელავში ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის ღირებულება 6 მილიონ 400 ათასი ლარია. ოპოზიცია განმარტებას ითხოვს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებსა და პროექტში შესულ ცვლილებებზე, რამაც, თავის მხრივ, ბიუჯეტის გაზრდა გამოიწვია. ბრალდებები მუზეუმის დირექტორისა და მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის მიუღებელია. სწორედ მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღეს გაიხსნება დიდი მეფის სახლ-მუზეუმი.

- ***რეაბილიტაციის პროექტის დამკვეთი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდია.***
- ***სამუშაოები 5 წლის წინათ, 2012 წელს, წინა ხელისუფლების მმართველობის დროს დაიწყო.***
- ***მთლიანი სამუშაოების ღირებულება 6 მილიონ 400 ათასი ლარია.***
- ***განახლებული კომპლექსის შეფასებას ფართო საზოგადოება მიმდინარე წლის 18 მაისიდან შეძლებს.*** **სწორედ მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღეს გაიხსნება დიდი მეფის სახლ-მუზეუმი.**



პროექტი, რომელიც თელავში ერეკლე მეორის მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა, დასრულდა. სამუშაოები 5 წლის წინათ, 2012 წელს, წინა ხელისუფლების მმართველობის დროს დაიწყო, თუმცა ახალმა ხელისუფლებამ მაშინდელი პროექტი დაიწუნა და ახალი მოამზადა, ახალი პროექის მომზადებასა და განხორციელებას კი 5 წელზე მეტი დრო დასჭირდა. მართალია, ერეკლე მეორის მუზეუმის კომპლექსი დამთვალიერებლისთვის ჯერ არ გახსნილა, მაგრამ დაინტერესებულ პირებს მისი ნახვის შესაძლებლობა უკვე აქვთ. მათ შორის, ვინც კომპლექსი უკვე ნახა, ლეიბორისტული პარტიის თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკა ვარდოშვილიც არის. ვარდოშვილის თქმით, პროექტის მასშტაბები მნიშვნელოვნად არის შემცირებული, თუმცა იმაზე მეტი თანხა დაიხარჯა, ვიდრე თავდაპირველად იყო გათვალისწინებული. ვარდოშვილს არ მოსწონს არც რეაბილიტირებული სასახლის დიზაინი და არც შესრულებული სამუშაოების ხარისხი.

ერეკლე მეორის მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით კითხვები აქვს პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასაც“. როგორც ამ პარტიის წარმომადგენელი გიორგი ბოტკოველი ამბობს, მათი მთავარი შეკითხვა ეხება შესრულებული სამუშაოების ხარისხსა და პროექტის ბიუჯეტს, რომელიც, მისივე თქმით, სამი მილიონით გაიზარდა.

ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმის დირექტორი გურამ ურჩუხიშვილი ფიქრობს, რომ ოპოზიცია პრობლემებს ამუქებს. მისი თქმით, როდესაც პროექტის სახალხო განხილვა შედგა, პრეტენზია არავის ჰქონია. ურჩუხიშვილი იმასაც ამბობს, რომ დეტალებზე ვერ ილაპარაკებს, თუმცა შეუძლია თქვას, რომ ყველაფერი, რაც დაგეგმილი იყო, გაკეთდა.

ერეკლე მეორის მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის დამკვეთი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდია. როგორც პროექტის მენეჯერმა ჯუღა სიხარულიძემ გვითხრა, მთლიანი სამუშაოების ღირებულება 6 მილიონ 400 ათასი ლარია. რაც შეეხება ოპოზიციის მიერ დასახელებულ პრობლემებს ხარისხთან დაკავშირებით, სიხარულიძის თქმით, სამუშაოები ხარისხიანად არის შესრულებული, თუმცა, თუკი ერთი წლის განმავლობაში რაიმე პრობლემა გამოვლინდა, სამუშაოების შემსრულებელი ვალდებულია, მოაგვაროს.

გიორგი ალადაშვილი

სანთელი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ბარათაშვილების საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენლის, თავისი სიკეთითა და კეთილშობილებით მოსილი ღირსეული ქართველი ვაჟკაცის, ბატონი

შოთა შაქროს ძე ბარათაშვილის

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ძვირფას დედმამიშვილებს, ბატონებს გურამ, დავით, ავთანდილ და ქალბატონ დარიკო ბარათაშვილებს, ნათესავებს, მეგობრებს.

საქართველოში შვიდიდან ერთი ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია

ასეთია გაეროს ქალთა ორგანიზაციის ახალი კვლევის შედეგები.

დოკუმენტის მიხედვით, ქალების 9% სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვობაში გახდა. 5-დან ერთი ქალი კი ამბობს, რომ სექსუალური შევიწროება გამოუცდია.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ქალებისა და კაცებისთვის ქალთა მიმართ ძალადობა დიდწილად ისევ მისაღებია.

საქართველოში ქალებისა და კაცებისთვის ქალთა მიმართ ძალადობა დიდწილად კვლავაც მისაღებია: ქალების თითქმის ერთ მეოთხედს (22%) და კაცების ერთ მესამედს (31%) მიაჩნია, რომ ცოლის ცემა გარკვეულ გარემოებებში გამართლებულია. უფრო მეტიც: ქალების თითქმის ერთი მეოთხედი (23%) და კაცების თითქმის ნახევარი (42%) მიიჩნევს, რომ ცოლი ქმარს მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს, თუ ის მას არ ეთანხმება.

კვლევა გაერო-ს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა და ევროკავშირმა ერთობლივად ჩაატარეს. კვლევის შედეგად, 2009 წლის შემდეგ ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებისა და ამ პრობლემის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების შესახებ ეროვნული მასშტაბის სარწმუნო მონაცემების მოპოვება პირველად მოხდა. ამას გარდა, კვლევამ საქართველოში სექსუალური შევიწროებისა და ადევნების გავრცელება პირველად შეისწავლა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინფორმაციით, ეროვნული კვლევის პროცესი 2017 წელს მიმდინარეობდა და იგი რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოლოგიებს აერთიანებდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ 15-64 წლის 6 006 ქალი და 15-64 წლის 1 601 კაცი გამოიკითხა. ხარისხობრივი კვლევა კი 47 შეხვედრას მოიცავდა.

ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2017 წლის ფინანსური ანგარიში

2017 წელს სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის 74129 ლარი.

2017 წელს გაწეულია 66117ლარის ხარჯი. ჩატარდა 60 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ომის მონაწილის 6 ვეტერანთან შეხვედრა, 90 ვეტერან-ქალბატონებისთვის 3 და 8 მარტის აღნიშვნა და დეკემბრის თვეში მოეწყო 85 წლის და ზევით 33 ვეტერან-ენერგეტიკოსებთან შეხვედრა – სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე გადაცემული იყო 6589 ლარის საჩუქარი. 66 ვეტერანზე გაცემულია დახმარება 8375 ლარი, გაწეულია საკანცელარიო ხარჯი 652 ლარი, ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა 46368 ლარი, კომუნალურ მომსახურეობაზე დაიხარჯა 849 ლარი, ბანკის მომსახურეობისათვის გადახდილია 186 ლარი, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე დახარჯულია 803 ლარი, კომპიუტერის ხარჯი 120 ლარი, დარიცხულია 2017 წლის ამორტიზაცია 73 ლარი, დაერიცხა ქონების გადასახადი 3 ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის დახარჯულია 274 ლარი, აუდიტის მომსახურეობაზე გადახდილია 300 ლარი, ოფისის ივარისთვის გადახდილია 600 ლარი, იუბილარი ვეტერანების ღონისძიებებზე და ვეტერანებთან შეხვედრებზე სურათების დამზადებაზე დახარჯულია 29 ლარი, ექსკურსიის მომსახურეობაზე გაწეულია 250 ლარი, იუბილარ და ომის მონაწილე ვეტერანებისთვის მოწყობილ ფურშეტზე დაიხარჯა 450 ლარი, წესდების შეცვლაზე ნოტარიუსის მომსახურეობაზე გაწეულია 90 ლარი, წესდების დამტკიცებაზე იუსტიციის სახლისთვის გადახდილია 106 ლარი.

თავმჯდომარე იაშა ბოლქვაძე
ბუღალტერი ციცინო ბენაშვილი

ბალანსი 1/01-2018 წლისთვის

აქტივი	წლის დასაწყისისი	საანგარიშო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისისი	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (1110, 1210)	3104	8186	მიმდინარე ვალდებულებები		
სხვა მიმდინარე აქტივები (1490, 1700, 1900)	1677	1693	შემოსავალი (6190)	5148	10144
გრძელვადიანი აქტივები (2160)	367	293	სხვა მიმდინარე ვალდებულებები (3320)		28
სულ აქტივები	5148	10172	სულ პასივები	5148	10172

ქარიშხალი და წვიმა გურიაში

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ძლიერმა ქარმა 40 სახლი სახურავის გარეშე დატოვა. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ჩოჩხათის თემში, სადაც 10-მდე ოჯახი დაზარალდა. სტიქიის გამო სახლის პირველ სართულზე წვიმის ქვეშ უწევს ცხოვრება რევაზ შანიძის 8-სულიან ოჯახს, რადგან სახურავი არც მათ სახლს შემორჩა.

ქარის გარდა, ძლიერმა წვიმამ გურიის კიდევ ერთი მუნიციპალიტეტი, ოზურგეთი დააზარალა. მდინარე სუფსა ადიდდა, რის გამოც ჩოხატაური-ოზურგეთის ავტომაგისტრალს დატბორვა ემუქრება.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

განგაშის ზარი

ნუ დაგოვებთ აჭარას ჩემი ლექსის ამარა!

არაბული ცხენივით ჭიხვინებდა ჭოროხი,
ნაპირს გადმოდიოდა აპრილში ალაზანი,
ენგურს ზღვაში მოჰქონდა ქვა-ღორღი და გოროხი,
ბორჩალოელ მუსლიმებს ეკავათ რამაზანი.

მტკვარმა კასპიის ზღვაში აბოს ფერფლი წაიღო,
და შუაგულ თბილისში დუღდა შეითან ბაზარი,
როდის იყო, ვერა და ვეღარ დავათარიღე,
რადგან ლაზარეს ენას დასცემია თავზარი.

ბათომს ყელყელაობდა აზიზიეს მეჩეთი,
მეჩეთის მინარეთმა ცა შუაზე გააპო,
ჭკუას უხმე, უგნურო, დროზე თუ არ შეჩერდი,
წყალი დაუბრუნდება ისევ ნაცნობ კალაპოტს.

თათარს რომ მეძახოდა თბილისელი ქოროღლი,
ახლა ითხოვს ბათუმში მეჩეთი ავუშენო,
ცოტა ფრთხილად, უგნურო, შენ ჩემს ნერვებს ვერ მოღლი,
შენ ხომ ქართველად გზრდიდა სულმნათი მამაშენი?!

ჩემისთანა აჭარელს ტალახს რატომ ესვრიან,
რატომ გინდათ წარსულში გადაჩეხოთ აჭარა,
ქვეყნის მოღალატე ხარ, თავი მოგაქვს მესიად,
მსურს, გავიგო სოროსმა რა ნაგავი გაჭამა?!

ფეთულა გიულენის ნაშეფრალით ძღებიან,
ლექსს წაბილწავს იმათი სახელების ხსენება,
შაშკინი-მაშკინების საცოდავი ძღვენია,
ის, რაც წესიერ ხალხში არ მოიხსენიება.

ყველამ იცის, ნაცებმა რა ნაგავი დატოვეს,
ახალგორი, ცხინვალი – ანექსია რუსული.
ისევ მინისტრობენ და ისევ დეპუტატობენ,
უგულავას უნიფხურ კმარელების კრუსუნით.

ისევ ტირის თაბორი, ისევ ტირის მტირალა,
შოთას ფრესკა წაბილწეს და თამარი ჯვარს აცვეს,
გააუპატიურეს და მერე გაატიალეს,
ხალხი დააყაჩაღეს და ქვეყანა გაძარცვეს,

და კოჰაბიტაცია, როგორც ლელვის ფოთოლი,
აიფარეს თავიანთ დაობებულ ალაგას,
აშშ-დან გიულის აფინანსებს ფეთულა,
მიშიკომ ძველ ბათუმში თურქები განალაგა.

იყიდება ბათუმი, იყიდება აჭარა,
იყიდება ბითუმად ნახევარი გურია,
ვინც გაულო ოკუპანტს ჩარაზული ფანჯარა,
უცხოელი კი არა, ისიც შინაურია.

გვიმიზნებენ გარედან, ციხეს ტეხენ შიგნიდან,
შენ რას ფიქრობ, თბილისო, მაცოდინა ნეტავი,
ყიდულობენ, ყიდიან, რაც გინდა და ვინც გინდა,
და სულ მალე რიონთან კარებს ჩაგვიკეტავენ.

მე კი ხმა ჩამეხლიჩა, ვიყვირო თუ ვიტირო,
მე კი ხმა ჩამეხლიჩა და ცრემლები დამიშრა,
მეჩეთებად შემოაქვთ გრანტები და ქვითკირი,
აგენტი ნაბიჭვრების არაფერი გაიშვა.

ჩემო თბილისქალაქო, მზის თვალო და კამარავ,
მუხლმოყრით გევედრები, მეტი არა დამრჩა რა,
ნუ დატოვებ ჩემს მხარეს ჩემი ლექსის ამარა,
ნუ გაყიდი შენს გულში დაბრუნებულ აჭარას!



შოთა ზოიძე,
ქ. ბათუმი

ღვინის სამშობლო:

დღეს აქ ტრადიციული მეღვინეობა რენესანსს განიცდის

„საქართველოში ქვევრი ტრადიციული ატრიბუტია – თიხისგან დამზადებული ღვინის შესანახი ჭურჭლის გამოსახულებას ყველგან დაინახავთ: მაისურებზე, სუვენირებზე, ჩაის ტილოებზე, რომლებიც თბილისის ცენტრში მდებარე თითქმის ყველა ტურისტულ მაღაზიაში იყიდება. ქვევრი გამოსახულია გზისპირა ბანერებზე, პროვინციულ კაფეებში, ბარებსა და სასტუმროებში. ქვევრს შეხვდებით ღვინის ტურებშიც, ყოველი ქარხნის სტუმრობისას“, – ნათქვამია ბრიტანულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში.

„ყველგანმყოფი ქვევრი – ეს უფრო მეტია, ვიდრე ტურისტული მარკეტინგი. ქვევრი იმის სიმბოლოა, რითაც ქართველები ძალიან ამაყობენ: მათი სამშობლო მსოფლიოში ღვინის დამზადების უძველეს ქვეყნად არის აღიარებული. გასული წლის ნოემბერში არქეოლოგებმა თბილისის ახლოს, სამხრეთით, გათხრების დროს, ქვევრის ფრაგმენტი აღმოაჩინეს, რომელზეც ღვინის კვალი იყო დატოვებული. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ამ ქვევრში 8 ათასი წლის წინათ ღვინო იყო ჩასხმული.

შეიძლება, პარადოქსულიც კი იყოს, მაგრამ ქვევრი საქართველოს თანამედროვეობის სიმბოლოდაც ითვლება – როგორც კახეთში მოღვაწე ცნობილი ამერიკელი მეღვინე ჯონ ვურდემანი ამბობს, „ცხოვრების წესად, რომელიც წარსულს ეფუძნება“. დღევანდელ მეღვინეებს ქართული ღვინის დამზადება ძველი, ტრადიციული მეთოდებით სურთ. სწორედ ქვევრს იყენებს ჯონ ვურდემანი თავის პროექტში „ხოხბის ცრემლები“, რომლის პარტნიორი გელა პატალიშვილი გახლავთ“, – აღნიშნულია სტატიაში, რომელშიც გადმოცემულია „მიწაში ჩამარხულ“ ქვევრში ღვინის დაყენების პროცესიც.

ღვინის წარმოება საქართველოსთვის სწრაფად მზარდი დარგია და სულ უფრო დიდ როლს ასრულებს ქვეყნისათვის. ქვევრის რენესანსმა კი საქართველო მეღვინეობაში მოდის მიმცემი ქვეყნების რიგში დააყენა. თიხის ჭურჭლებში ღვინის ტრადიციული დამზადების ქართულმა წესმა მსოფლიოში მრავალი თანამოაზრე შეიძინა. ქართული ღვინოები მსოფლიოს საუკეთესო რესტორნებისა და ცნობილი მაღაზიების აუცილებელი პროდუქცია გახდა.

ისეთი ქვეყნისათვის, რომელიც მე-20 საუკუნეში, უხეში სამრეწველო მეთოდებისა და ცენტრალური დაგეგმვის პირობებში, უდიდესი მოცულობით ამზადებდა საბჭოურ ღვინოს, ასეთი შემობრუნება ნამდვილად მისასალმებელია, - ხაზგასმულია პუბლიკაციაში.

სტატიის დასასრულ ავტორი მკითხველს აცნობს ექვს საუკეთესო ქართულ ღვინოს და მათ მწარმოებლებს.

დევიდ უილიამსი,
„The Guardian“ (დიდი ბრიტანეთი)

შუშის კედლები ტრავმის მიზეზი ხდება



APPLE-ს ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ კომპანიის მინიმუმ სამი თანამშრომელი დაშავდა შუშის კედლებზე და კარზე შეჯახების შედეგად. იუწყება The Guardian.

Apple Park-ის ახალ შენობას „კოსმოსურ ხომალდს“ უწოდებენ. ის მთლიანად შუშისგანაა შესრულებული და დისკოს ფორმა აქვს. პირველად ის მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის თანამშრომლებისთვის გაიხსნა 2017 წლის აპრილში, ხოლო საბოლოო სარემონტო სამუშაოები იანვარში დასრულდა. აღსანიშნავია, რომ Apple-ის მშენებლობაზე კომპანიამ 5 მილიარდი დოლარი დახარჯა. იქიდან გამომდინარე, რომ შენობას აქვს ბევრი შუშის კედელი, Apple-ის მინიმუმ სამმა თანამშრომელმა უკვე განაცხადა, რომ ვერ ამჩნევენ გამჭვირვალე ბარიერს, ხოლო ინერციით შეჯახების შედეგად, სისხლდენას და თავის ტრავმებს იღებენ. ინციდენტების თავიდან აცილებისთვის უკვე დაიწყეს კედლებზე ფერადი სტიკერების დამაგრება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4585; ევრო - 3.0274;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3976;
100 რუბლი - 4.3112; თურქული ლირა - 0.6436;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4548;
1000 სომხური დრამი - 5.1112.

ამინდი 7 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +15
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +6,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +17
თბილისი:	ღამე +4,	დღე +13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge